გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

№ 34
(11 388)

28 აპრილი – 4 მაისი, 2000 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

ბასკო – სტუ 74:73

ბათუმი. სიმბოლური იყო, რომ ექვსეულის გათამაშების უკანასკნელ მატჩში ერთმანეთს დაუპირისპირდა მეორე წრეში დაუმარცხებელი ორი გუნდი. სტუ მართლაც კარგი და თვითმყოფადი კლუბი რომ არის, ამ შეხვედრამაც ცხადჰყო. პირველი ტაიმი სტუდენტებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს და ერთი პირობა, 12-ქულიანი სხვაობა კი გაფლანგეს, მაგრამ შესვენებაზე მაინც ოთხქულიანი ფორით გავიდნენ. განსაკუთრებით ყოჩაღობდნენ ჩუბინიძე, ორმოცაძე და, რა თქმა უნდა თორთლაძე. უნდა ითქვას, რომ სტუ ერთ-ერთი უძლიერესია შორიდან სროლაში და ეს აქაც გამოჩნდა. ბათუმელები ამ „იარაღს“ ნაკლებად იყენებდნენ. მათ ფარქვეშ მოპოვებულ უპირატესობის წყალობით შემოაბრუნეს თამაში და წინაც გაიჭრნენ. ბოლო 7 წუთის მაძილზე ქულა-ქულაზე მიდიოდა ჭიდილი. ორივე გუნდს უნდოდა, მეორე წრე უდანაკარგოდ დაესრულებინა და ... ალბათ, „ბასკო“ მაინც უძლიერესია საქართველოში. ბათუმელებმა მაყურებლის აღტყინებული მხარდაჭერა იგრძნეს და 10 წამით ადრე სამი ქულით დაწინაურდნენ. სტუ-ს გამთამაშებელ თორთლაძეს კი დარჩენილ დროში, სჯობდა სამქულიანი ეტყოცნა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა და ორმოცაძემ თუმცა ორქულიანი ჩააგდო, ამან საქმეს ვერ უშველა. სტუ დამარცხდა და მეორე ადგილი კვლავ „აზოტს“ დაუთმო. ამით, პლეი-ოფში რუსთაველებს ის უპირატესობა აქვთ, რომ გადამწყვეტ მატჩს (თუ საჭირო შეიქნა) შინ ჩაატარებენ.

აზოტი – სდასუ 84-79; მაკაბი – ვითა 84-79.

		თ.	მ.	წ.	ქ.
1.	ბასკო	32	30	2	62
2.	აზოტი	32	24	8	56
3.	სტუ	32	23	9	55
4.	სდასუ	32	19	13	51
5.	ვითა	32	17	15	49
6.	მაკაბი	32	15	17	47

იხ. მე-7 გვ.

ჩვენ ნაკრები გვყავს!

სომხეთი – 0
საქართველო 0

26.04.2000. ერევანი. „რაზდანის“ სტადიონი. 20 000 მაყურებელი

სომხეთი: აბრამიანი, სუკიასიანი, ხოჯოიანი, ოვსეპიანი, ვარდანიანი, ხაჩატრიანი, ა. პეტროსიანი (ასატრიანი, 70), ვოსკანიანი, აკოფიანი (არმან კარამიანი, 66), შახგელდიანი, ტ. პეტროსიანცი (არტავაზ კარამიანი, 46).

საქართველო: გრიშიკაშვილი, სილაგაძე, თოდუა, ხიზანიშვილი (დიდავა, 70), მიქაძე (რეხვიაშვილი, 30), ნემსაძე, სიჭინავა, ალექსიძე (მენთეშაშვილი, 51), ჩალაძე (იონანიძე, 46), დემეტრაძე, ყაველაშვილი.

გაფრთხილება: ყაველაშვილი.

მსაჯი: გ. იაკუბოვსკი (ბელარუსი).

ვინც რა უნდა თქვას, სომხებთან შერკინება მაინც ძალზე წაადგა საქართველოს ნაკრებს. რაც არ უნდა სუსტი იყოს სომხების უპირველესი გუნდი, ქართველებს ყოველთვის ჯიგრიანად, ხისტად, ყოველგვარი დანდობის გარეშე ეთამაშებიან და სწორედ ამგვარ მატჩებში ჩანს, ვინ ვინ არის. სწორედ ამიტომ იყო, ჩვენმა მწვრთნელებმა ერთგვარი ექსპერიმენტული შემადგენლობა რომ ჩაიყვანეს ერევანს. მწვრთნელებმა ახალწვეულებს შანსი მისცეს, თანაც შეამოწმეს, თუკი ნაკრების ძირითადი ბირთვიდან ვინმე დაშავდა, ან დისკვალიფიკაცია მიიღო, მწვრთნელებს უკვე ეცოდინებათ, ვის დაეყრდნონ. გარდა ამისა, ყიფიანმა და ძოძუაშვილმა კლუბებიც დაზოგეს, ნაკრებში ხომ წელიწადში 7-ჯერ შეიძლება მოთამაშის გამოძახება, დამეთანხმეთ, სჯობია სომხებთან არ გამოიძახო ფეხბურთელი, რათა იტალია-ლიტვასთან ფართო არჩევანი გქონდეს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ სომხებთან ყოველ წელს სპარინგ-მატჩი მუდამ სასარგებლო იქნება ჩვენთვის.

ჯერ ახალგაზრდულ ნაკრებზე ვთქვათ: სასიხარულოა, რომ ხურცილავას შეგირდებმა 11-მატჩიანი წაუგებელი სერია გააგრძელეს (5 მოგება, 7 ფრე) და გამარჯვებას მიაღწიეს. მძიმე გრუნტზე, სიქაგამცლელ სიცხეში და, რაც ყველაზე მთავარია, არნახული მსაჯობის პირობებში. ფიფას არბიტრის, სლავიკ კაზარიანის არაობიექტურობამ და მიკერძოებამ ყოველგვარ საზღვრებს გადააჭარბა. კაზარიანი თანამსაჯების აქტიური დახმარებით ძირშივე აღკვეთავდა ხოლმე ქართველთა შეტევებს, მეტიც, ასისტენტები სომხებს გაჰკიოდნენ: გამოდით, ოფსაიდში ხართო! მოკლედ, ჩვენმა ჭაბუკებმა ყველას და ყველაფერს სძლიეს და მეტოქე პირწმინდად დაჯაბნეს. სხვათა შორის, სომეხთა ახალგაზრდული ნაკრები ერთი წლის წინ ცალკე გუნდად გამოდიოდა ჩემპიონატში და ძალზე შეთამაშებული იყო, რამდენიმე მათგანს კი ეროვნული მაისურის მორგებაც მოესწრო.

ჩვენი გუნდიდან არავის გამოვყოფ, ყველამ კარგად ითამაშა. მართალია, ხურცილავა ხშირად წამოხტებოდა ხოლმე ადგილიდან, მაგრამ ეს კაზარიანის სასტვენის გამო უფრო ხდებოდა, რადგან ჩვენი ბიჭები შეკრული, მობილურ გუნდად წარმოჩინდნენ და მეტოქეს შანსი არ მისცეს. ბოლოს და ბოლოს ხურცილავაც დაწყნარდა და კაზარიანის ლაფსუსებზე მხოლოდ ეცინებოდა.

რაც შეეხება ეროვნული ნაკრების თამაშს, დასაწყისშივე ვიტყვი და ამაყადაც, რომ ჩვენ ნაკრები გვყავს! დიახ, დარწმუნებით ვიტყვით, რა შემადგენლობითაც არ უნდა ითამაშოს საქართველოს ნაკრებმა, ყიფიანისა და ძოძუაშვილის ხელში გუნდი არავისთან შერცხვება. ნაკრები მართლაც საერთო ოჯახია და ერთი მიზნისთვის – მსოფლიო ჩემპიონატზე გასასვლელადაა გამსჭვალული. მწვრთნელთა ავტორიტეტმა, პროფესიონალიზმმა და ოფლისღვრამ პირველი შედეგი უკვე გამოიღო. ამის ნათელი დადასტურება იყო მატჩი რაზდანზე.

სანამ მატჩზე გადავიდოდე, ვიტყვი, რომ სომეხთა დახვედრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა – საზღვარზევე დიდი ესკორტით დაგვხვდნენ, სფფ-ს პრეზიდენტთან და მთავარ მწვრთნელებთან სახელდახელო ინტერვიუც იქვე აიღეს, ჩვენ რომ ვიცით ყველაზე თავგადაკვლა, ისე დაგვხვდნენ სწორედ და ორი დღის განმავლობაში პრესა-რადიოტელევიზია სულ ჩვენს ხსენებაში იყო. მატჩის დეტალურ გარჩევას არ შევუდგები. ქართულმა მედიამ უკვე გააცნო თამაშის პერიპეტიები მკითხველს და მაყურებელს ყურადღებას გავამახვილებ ჩვენს ტაქტიკურ მონახაზზე და ფეხბურთელთა სათამაშო დისციპლინაზე.

საქართველომ მატჩი სამი ფორვარდით დაიწყო, თუმცა სამივენი (ჩალაძე, დემეტრაძე, ყაველაშვილი) არც შავ სამუშაოს თაკილობდნენ, განსაკუთრებით ეს ყაველაშვილზე ითქმის, რომელიც ქართველთაგან საუკეთესოდ აღიარეს და პრიზიც გადასცეს. ყაველაშვილს მეორე ტაიმის დასაწყისში ამპლუა შეუცვალეს და მიშამ მარცხენა ნახევარმცველის ადგილზეც კაცურად იშრომა.

პირველი ტაიმის შუაგულში მიქაძის ნაცვლად რეხვიაშვილი შემოვიდა და ხიზანიშვილმა ნახევარდაცვის შუ-

იხ. მე-4 გვ.

ახალგაზრდული ნაკრებები

26.04.2000 არტაშატი ქალაქის სტადიონი. 1500 მაყურებელი.

სომხეთი: ბაბაიანი, ა. გრიგორიანი თადევოსიანი, დავითიანი (ნავოიანი, 62). ნარიმანიანი, გ. გრიგორიანი, ჯენებიანი (მელიქიანი 54), ალექსანიანი (ნ. ერზრუმიანი 76), ს. ერზრუმიანი (ავეტისიანი, 83), ა. აკოფიანი, ჰ. აკოფიანი.

საქართველო: ლომაია, ედ. საჯაია, ხიზანეიშვილი, წერეთელი, დევიძე (შაშიაშვილი, 63), ქემოკლიძე (რუხაძე, 46), გ. კვარაცხელია (გ. შენგელია, 46), დილმელაშვილი (აბრამიძე, 73), ჯაკობია (ბობოხიძე, 80), წიტაიშვილი, ლ. გვაზავა.

მსაჯი: ს. კაზარიანცი (სომხეთი).

გოლი: 0-1 წიტაიშვილი (30)

გაფრთხილება: მელიქიანი, ჯაკობია, შენგელია, წიტაიშვილი.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოში სპორტის განვითარებაში მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდისა და მაღალი რანგის სპორტსმენების მომზადებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი ***ვლადიმერ კანკავა*** დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

* * *

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღირსების ორდენით დაჯილდოებას ულოცავს სეოკ-ის თბილისის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს ***ვლადიმერ კანკავას.***

* * *

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს თანამშრომლები გულითადად ულოცავენ მთავრობის მაღალ ჯილდოს – ღირსების ორდენით დაჯილდოებას, ამავე სამმართველოს უფროსს ***ვლადიმერ კანკავას.***

* * *

საქართველოს მოჭიდავეთა კავშირი „რაინდი“ ღირსების ორდენით დაჯილდოებას ულოცავს ამავე საზოგადოების ხელმძღვანელს ***ვლადიმერ კანკავას.***

* * *

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს ტანვარჯიშის სახეობათა სპორტული სკოლის დირექტორი როზა ბერიკაშვილი და ამავე სკოლის კოლექტივი გულითადად ულოცავენ ღირსების ორდენით დაჯილდოებას დედაქალაქის სპორტის თვალსაჩინო თავკაცს ***ვლადიმერ კანკავას.***

* * *

„ლელოს“ რედაქცია უდიდესი კმაყოფილებით უერთდება ამ მილოცვებს.

რედაქტორის სვეტი

მოლოდინი...

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების განახლების ახალი ეტაპი დაიწყება. თითქოს განგებამ ინება ასე. 30 აპრილს ჩატარდება ახალარჩეული ქვეყნის პრეზიდენტის ინაუგურაცია და გადადგომის შესახებ განცხადებას გააკეთებს მთავრობის მთელი შემადგენლობა. ასეთია ქვეყნის ძირითადი კანონის, კონსტიტუციის მოთხოვნა. მთავრობის ზოგიერთი წევრი ალბათ თანამდებობას დატოვებს, ზოგიც შეინარჩუნებს. ეს პრეზიდენტის გადასაწყვეტია.

მოხდა ისე, რომ რეორგანიზაცია უნდა გატარდეს სიდნეიში ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ზუსტად ოთხნახევარი თვით ადრე. ეს დრო ვისთვის საკმარისია და, ვისთვის არა. საქართველოს სპორტული დელეგაცია, რომელიც სოლიდურად იქნება წარმოდგენილი ოლიმპიადაზე, გამგზავრებამდე მხოლოდ დროის გასვლას როდი ელოდება. ყველაზე საპასუხისმგებლო, თამაშებისთვის მზადების პროცესში, სწორედ ეს დარჩენილი პერიოდია. მოგვიტანს თუ არა უკეთესობას უამრავი პრობლემების გადაჭრაში კარსმომდგარი ცვლილებები, ჯერ კიდევ საკითხავია.

მხედველობაში მხოლოდ სპორტი არ გვაქვს. ჩვენი პრობლემები მარტო ჩვენი გადასაწყვეტი ხომ არ არის, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი ამბობს: „სახელმწიფოს, მისი ყველა სტრუქტურის ზრუნვისა და ყურადღების საგანი, უფრო სწორად, მოვალეობა უნდა იყოს“.

საერთოდ, ყველანაირ შერწყმა-გაერთიანების საკითხის განხილვისას ერთი უმთავრესი კითხვა გამოდის წინა პლანზე – რა სიკეთეს მოუტანს იგი შეწყვილებულებს? ერთ ოჯახში მცხოვრებთ ერთი მიზანი და ამოცანა აერთიანებთ, ეს აქსიომაა. გეკითხებით, რა საერთო აქვს სპორტს, ორგანიზაციული თვალსაზრისით, ცხოვრების სხვა დარგებთან? მხოლოდ ის არ კმარა არგუმენტად, რომ ყველაფერი, საბოლოო ჯამში, ე.წ. ქვეყნის სახალხო მეურნეობასთანაა გადაჯაჭვული, რომ სპორტი ჩვენი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. თუ სიკეთეა ამოსავალი, გაერთიანებაში ამის არანაირი პერსპექტივა არ მოსჩანს. დღეს სპორტი ჭეშმარიტად ამაღლებული ავტორიტეტია ჩვენი ქვეყნისთვის მთელი მსოფლიოს თვალში. დღეისათვისაც და მომავლისთვისაც ის აჯობებს, თუ იგი იმავე რელსებზე შემდგარი ივლის, რომელზედაც უკვე მყარად დგას. ამ სიტყვებში გადაჭარბებული არაფერია. მაშინ ვთქვათ, კიდევ რომელ სფეროს აქვს ჩვენში შენარჩუნებული მემკვიდრეობა და წინსვლის მყარი საფუძვლები, ქვეყანას ვინ აძლევს მსოფლიო სტანდარტების დარ პროდუქციას გარდა სპორტისა, ვინ შეინარჩუნა საკუთარი თავი, თუ გნებავთ ქონებაც, საყოველთაო ნგრევის პროცესში?

ამის დაუნახაობა და შეუფასებლობა არ შეიძლება, ერთ ქვაბში ჩაყრილი პროდუქტებით რალაც კი იქმნება, მაგრამ რა? რატომ გვინდა სპორტი კოქტეილის კომპონენტად ვაქციოთ?

ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებამ და მოპოვებულმა ლიცენზიებმა დაგვანახვა, რომ საქართველოში სპორტი სხვა დარგების მსგავსად, სულს არ ლაფავს, ხელახალი შენება არ გვჭირდება. მხოლოდ სტიმულია საჭირო, რომ უფრო მოლონიერდეს, რომ უფრო მეტი სოციალური, თუ გნებავთ, პოლიტიკური დატვირთვა მიიღოს ქართულმა სპორტმა ქვეყნის ავტორიტეტის ასამაღლებლად.

ცვლილებები, როგორიც უნდა იყოს, ერთი ცხადია: ქართულმა სპორტმა ავად თუ კარგად, ასე თუ ისე, მაინც შეინარჩუნა თავისი სახე და ამაში უდავოდ მიუძღვის ლომის წილი სპორტის დეპარტამენტისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობას, სპორტსმენებისა და მწვრთნელების ჭეშმარიტ პატრიოტიზმს. თუ მართლა ყველაფერი შეფარდებითია, ძნელი არ უნდა იყოს დავინახოთ რა გაკეთდა ქართულ სპორტში უმძიმეს ეკონომიკურ პირობებში, რა სიმაღლე შევინარჩუნეთ. თუ კონკრეტულ შედეგებზე მიდგება საქმე, უპირველესად უკვე 32 ოლიმპიელს დავასახელებთ, თანაც სპორტის 12 სახეობაში. კიდევ არის მოსალოდნელი, როგორც ოლიმპიელთა, ისე სპორტის სახეობების რიცხობრივი გაზრდა. არის თუ არა ეს გმირობა? კიდევ: წინა წლებთან შედარებით, შარშან, ჩვენს სპორტსმენებს მედლების მეტი თუ არა, ნაკლები რაოდენობა არ მოუპოვებიათ საერთაშორისო არენაზე. 13 ოლიმპიური ლიცენზია ხომ მარტო წლევანდელ სამ თვეშია მიღებული...



ოლიმპიურ თამაშებს 140 დღე გვაშორებს

მიმდინარე წელი ზაფხულის ოლიმპიურ ასპარეზობათა წელია. საქართველოს სპორტული და ოლიმპიური ტრადიციების გათვალისწინებით, მასში მონაწილეობა და წარმატებით გამოსვლა არა მარტო სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების, არამედ სახელმწიფოს, მისი ყველა სტრუქტურის ზრუნვისა და ყურადღების საგანი, უფრო სწორად, მოვალეობა უნდა იყოს.

ედუარდ შევარდნაძე

SOS

სიდნეიში ოლიმპიური თამაშების დამთავრებამდე დიდი დრო აღარ რჩება. დარჩენილ პერიოდში პრობლემების მოგვარება გადაჯაჭვულია დაფინანსების საკითხის დროულ მოგვარებასთან. ოლიმპიადას არავინ გადასწევს, გარკვეული თანხები კი წინასწარაა გადასახდელი, ვადები იწურება, იქმნება ქვეყნის პრესტიჟის შემლახავი სიტუაცია. აღარაფერს ვამბობთ სპორტსმენებსა და მწვრთნელებზე გაუცემელ სტიპენდიებსა და ხელფასებზე, მძიმე სოციალურ პირობებზე, რაც არასასურველ ფსიქოლოგიურ ატმოსფეროში აქცევს ოლიმპიადის მზადებისათვის ჩვენს სპორტულ დელეგაციას. სასწრაფოდ უნდა გადაიჭრას მინიმუმ ერთი მილიონი ლარის გამოყოფის საკითხი. ეს ჯერჯერობით. საქართველოს სპორტული სამყარო და სპორტის გულშემატკივრები იმედს იტოვებენ, რომ ქვეყნის პრეზიდენტის საქმიანი მოწოდება, რომელიც ჩვენს გაზეთს უკვე დიდი ხანია ყოველ ნომერში გასდევს, ბოლოს და ბოლოს პრაქტიკულად შესრულდება.

50 წლის წინათ...

სტალინირი. ძალოსნობაში ქალაქის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა კ. ჩეხოევმა. თავიანთ წონებში უძლიერესები იყვნენ ა. კოტაევი, ს. ელბაქიძე, პ. ჯიოევი, გ. სალამაძე, კ. ჩეხოევი და ა. ბეკოევი.

თელავი. კულტურისა და დასვენების პარკში ახალგაზრდობის მონაწილეობით დაიწყო საცურაო აუზის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნების მშენებლობა.

თბილისი. 1950 წლის 9 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზეიმოდ გაიხსნა პირველი საუნივერსიტეტო სპარტაკიადა. სტუდენტ სპორტსმენებს მიესალმა და სპარტაკიადა გახსნილად გამოაცხადა უნივერსიტეტის რექტორმა ნიკო კეცხოველმა.

ქუთაისი. სპორტკომიტეტმა და განათლების განყოფილებამ ჩაატარეს ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება, რომელშიაც 102 მოსწავლე მონაწილეობდა. ბიჭებში ქალაქის ჩემპიონი გახდა ბ. ჩიკვაიშვილი, გოგონებში — ქ. დარახველიძე.

ლენინგრადი. თბილისის „დინამოს“ ვაჟა კალათბურთელებმა ამ ქალაქში ყველა მატჩი მოიგეს და „დინამოს“ საკავშირო საბჭოს ჩემპიონობა მოიპოვეს.

გორი. პედაგოგიურ ინსტიტუტში იასპარეზეს გორის, თელავის, სტალინირისა და ახალციხის ტანმოვარჯიშეთა გუნდებმა. გაიმარჯვა სტალინირის ნაკრებმა. პირად პირველობაში საუკეთესონი იყვნენ — გოგონებში ვ. დბარი (სტალინირი) და ლ. ერგიანი (ახალციხე), ვაჟებში — მ. იაძე და ვ. ანჟელოვი (ორივე — ახალციხე).

1950 წლის 28 აპრილს პირველად გამოქვეყნდა სათანრიგო ნორმატივები სპორტის ეროვნულ სახეობებში — ლელოში, ისინდსა და ცხენბურთში.

სიდნეი-2000 ● ჩვენი ოლიმპიელები

გურამ მჭედლიძე

(თავისუფალი ჭიდაობა)

დაიბადა 1972 წლის 12 აგვისტოს ტყვარჩელში. სიმაღლე — 175 სმ, წონა — 76 კგ. ჭიდაობა დაიწყო 1986 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფ. ოხურეიში მწვრთნელ ჯიმშერ გურჩიანთან. პირველ წარმატებას მიაღწია 1978 წელს — გახდა საქართველოს მოსწავლეთა პირველობის ჩემპიონი, იმავე წელს უძლიერესი იყო მაჩკალიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე. 1988 წელს მოიგო აფხაზეთის მოსწავლეთა პირველობა და მეორე იყო რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე, მეორედ გაიმარჯვა მაჩკალიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე. 1992-93-94 წლებში სპორტში მეცადინეობა შეწყვიტა აფხაზეთის ტრაგედიასთან დაკავშირებით და განაახლა 1994 წელს დნეპროპეტროვსკში მწვრთნელ გურჩიანთან. 1995 წელს ოდესის საერთაშორისო ტურნირზე დაიკავა I ადგილი. არის უკრაინის ხუთგზის (1996 — 2000 წ.წ.) ჩემპიონი, 1998 წ მსოფლიო თასის გათამაშებაზე ქ ჩიკაგოში დაიკავა II ადგილი, იმავე წელს მსოფლიო ჩემპიონატზე ირანში VII ადგილზე გავიდა. არის 1998 წლის საფრანგეთის და ტაშკენტის საერთაშორისო ტურნირების II პრიზიორი. 2000 წელს მოიგო მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი და ბუდაპეშტში გამართულ ევროპის ჩემპიონატში დაიკავა III ადგილი, ხოლო იმავე ქალაქში ჩატარებულ სალიცენზიო ტურნირზე I ადგილი, რითაც საქართველოს თავისუფალი ჭიდაობის ნაკრებ გუნდს სიდნეის საგზური შემატა. ჰყავს მეუღლე და შვილი, რომლებიც ამჟამად დნეპროპეტროვსკში ცხოვრობენ, დედა ლტოლვილია და ცხოვრობს წყალტუბოში.

● გურამ, გილოცავთ ოლიმპიური საგზურის მოპოვებას. ვერავინ წარმოიდგენდა იმას, რომ თითქმის სრულიად უცნობ გურამ მჭედლიძეს, რომელიც წლების განმავლობაში უკრაინის ღირსებას იცავდა, სიდნეიში ქართველ ოლიმპიელთა შორის იხილავდა.

— მართალი ბრძანდებით. საქართველოში მართლაც, ჭიდაობის ბევრი გულშემატკივარი ვერ მიცნობს. ჭაბუკობის ასაკში მქონდა წარმატებები, მაგრამ აფხაზეთის ტრაგედიამ მეც მომწყვიტა მშობლიურ მხარეს. იძულებული გავხდი სავარჯიშოდ დნეპროპეტროვსკში წავსულიყავი, სადაც ჩემი მწვრთნელი ჯიმშერ გურჩიანი სასწავლებლად იმყოფებოდა და თან ჭიდაობის სექციას ავარჯიშებდა. მისი წყალობით კვლავ დავუბრუნდი ხალიჩას. მანამდე, სამი წელი აღარ მივარჯიშია, რაზეც ძალიან ვნანობ. მაგრამ, ცხადია, იმ პერიოდში ჩემი ძირითადი საზრუნავი ოჯახის შენახვა იყო. უკრაინაში ინტენსიური ვარჯიშის შედეგად გარკვეულ წარმატებებს მივაღწიე. გულახდილად გეტყვით, რომ მე რეალური შანსი მქონდა, უკრაინის სახელით მეასპარეზა სიდნეიში, ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ — ბუდაპეშტში ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილისათვის შეხვედრაში სწორედ ის უკრაინელი კონკურენტი დავამარცხე, რომელმაც სიდნეიში უნდა იასპარეზოს. მაგრამ მე ყოველთვის გული სამშობლოსკენ მომიწევდა, რადგან სულ სხვა გრძნობაა ოლიმპიადაზე შენი ქვეყნის სახელით ასპარეზობა. ძნელია ამ გრძნობის სიტყვებით გამოხატვა. ეს გრძნობა მუდამ მექნება. ამიტომ გადავწყვიტე მიმემართა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელებისათვის და მწვრთნელებისთვის, რომლებმაც გულთან მიიტანეს ჩემი თხოვნა და ქვეყნის ნაკრებ გუნდში ჩამრიცხეს. ეს მოხდა წლევულს მარტში, რის შემდეგაც საქართველოს ნაკრებთან ერთად გავიარე ორი საწვრთნელი შეკრება და ბუდაპეშტში ევროპის პირველობაზე გავემგზავრე.

● თუ შეიძლება, დაწვრილებით გვიამბეთ ბუდაპეშტის ორთაბრძოლების შესახებ.

— ბუდაპეშტში ევროპის ჩემპიონატს წინ უსწრებდა სალიცენზიო ტურნირი, რომელშიც მხოლოდ I ადგილზე გასული სპორტსმენი იღებდა საგზურს. ჩემს წონით კატეგორიაში ასპარეზობაში ჩაება 18 ათლეტი. ოთხი შეხვედრა ჩავატარე. I წრეში მოვუგე რუმინელ მოჭიდავეს 10:4, II-ში — მაკედონიელს 10:0, III-ში — ბერძენს 7:6, IV წრეში, პირველივე წუთებში წმინდად დავამარცხე მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი მოლდოველი პეიკოკი და დავიკავე I ადგილი, რითაც სიდნეის საგზური გავინაღდე. მეორე დღეს გაიმართა ევროპის ჩემპიონატი. მე შემეძლო აღარ მეასპარეზა, მაგრამ, ნათქვამია, ფალავანი უნდა ფალავნობდესო და მეც ჩავები ჩემპიონატში. პირველი შეხვედრა მომიწია ისევ იმ რუმინელ მოჭიდავესთან, რომელიც სალიცენზიო ტურნირში დავამარცხე. იგი რევანშის წყურვილით იყო განწყობილი და სწორი ტაქტიკა აირჩია, მაგრამ მაინც დავამარცხე 3:1. მეორე შეხვედრა ფინალში გასასვლელი თურქ ბერეკეტ ადენთან მქონდა. მოგების შემთხვევაში მეორე ადგილზე გავიდოდი. მერვე წუთზე შემეძლო 1-ქულიანზე ჩოქბჯენში გადაყვანა, შეხვედრას ვიგებდი, მაგრამ ვიჩქარე, დავატრიალე, მან დამხურა 2-ქულიანზე და შეხვედრა წავაგე 3:2. III წრეში, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შევხვდი ჩემს ძირითად კონკურენტს უკრაინიდან და დავამარცხე 5:2. ასე მოვიგე ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი.

● გურამ, სიდნეიში ვინ მიგაჩნია შენს ძირითად კონკურენტებად და თუ ფლობთ რაიმე ინფორმაციას მათი ფიზიკური, ტექნიკური, ტაქტიკური მომზადების პარამეტრების შესახებ?

— პირველ რიგში უნდა დავასახელო რუსეთის წარმომადგენელი, ატლანტის ოლიმპიური თამაშების, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების მრავალგზის ჩემპიონი ბიუვალ საითიევი, რომელსაც 1995 წლიდან მოყოლებული დღემდე არც ერთი მნიშვნელოვანი ასპარეზობა არ წაუგია, შემდეგ მოდის ევროპის მრავალგზის ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონატის II პრიზიორი გერმანელი ლეოპოლდი, ასევე ძლიერი მოჭიდავეა ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი და მსოფლიო ჩემპიონატის III პრიზიორი თურქი ადენი, რომელსაც უკვე შევხვდი ევროპის ჩემპიონატზე. ინფორმაცია კონკურენტებზე გამაჩნია, იგი ჯერ კიდევ უკრაინის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში ყოფნის დროს მოვიპოვე. საქმე იმაშია, რომ მაშინ უკრაინის მოჭიდავეებს მუდამ თან დაგვდევდნენ ჟურნალისტები და ოპერატორები, რომლებიც ფირზე აღბეჭდავდნენ ჩვენს წარმატებას თუ წარუმატებლობას. ამასთან, ისინი სპეციალურად იღებდნენ ჩვენს მოწინააღმდეგეთა ორთაბრძოლებს. შემდეგ ჩვენ გვაძლევდნენ ვიდეოკასეტებს, რომლებითაც ვხელმძღვანელობდით სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებზე, როგორც მწვრთნელებთან ერთად, ისე ინდივიდუალურად.

● ახალი ნაკრები, ახალი მწვრთნელები, როგორ გაიარა ადაპტაციის პერიოდმა?

— საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები და მწვრთნელები ჩემს მიმართ ძალზე თბილად და კარგად არიან განწყობილნი. აქ მე სულ სხვანაირ სითბოს და სიყვარულს ვგრძნობ... ამჟამად ნაკრებში ჩემი პირადი მწვრთნელია დათო ხურცია. ყურადღებას არ მაკლებს ჩემი პირველი მწვრთნელი ჯიმშერ გურჩიანი, რომელიც დნეპროპეტროვსკში მოღვაწეობს. მას განზრახული აქვს ჩემი უკეთ მომზადების მიზნით ჩამოვიდეს თბილისში. მე მისი ძალზე კმაყოფილი ვარ. მან დამაყენა გზაზე და ცხოვრებაში ვეცდები სამაგიერო პატივი მივაგო. სასიამოვნოა აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ნაკრებში ორი სოხუმელი მოჭიდავე ვართ — მე და ელდარ კურტანიძე, რომელთანაც ერთად სამი წელი ერთ დარბაზში ვვარჯიშობდი. ჩვენ ბავშვობის სიყვარული დღემდე გვაქვს შემორჩენილი, იგი ჩემი მეგობარია.

● თუ შეიძლება ორიოდე სიტყვით გვიამბეთ, როგორ პირობებში გიხდება მზადება სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის?

— ჯერჯერობით ვცხოვრობ ჩემს ლტოლვილ ნათესავებთან გლდანის მასივში, იქიდან მიწევს ვარჯიშებზე სიარული, შემპირდნენ, რომ გამომიყოფენ ერთ ოთახს და დამინიშნავენ ოლიმპიურ სტიპენდიას.

● ალბათ ცოლ-შვილსაც თბილისში გადმოიყვანთ...

— ცხადია, შევეცდები. ერთად ყოფნა მაინც სულ სხვაა, თუნდაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ოჯახს, დედას ძალზე უხარიათ ჩემი წარმატებები და მათი დიდი სურვილიცაა ვასახელო ჩემი ქვეყანა. რაც შეეხება მამას — იგი ჩემს დაბადებას ვერ მოესწრო. მის სახელს ჩემი შვილი მურთაზი ატარებს. მამაჩემი წარმოშობით ხაშურის რაიონის სოფ. ნაბახტევიდან იყო. მე თუ ღმერთმა გადმომხედა და წარმატებით გამოვედი სიდნეიში, სწორედ მამაჩემის სოფელში მისი ხსოვნის პატივსაცემად ეკლესიის ეზოში უნდა აღვნიშნო წარმატება ჩემი გვარის ხალხთან — მჭედლიძეებთან ერთად.

● ოლიმპიადამდე დარჩენილ პერიოდში, როგორი გეგმით წარიმართება თქვენი მზადება?

— ბუნებრივია, ჩემი მზადება წარიმართება ინდივიდუალური გეგმის მიხედვით და იმ გეგმით, რითაც დანარჩენი ქართველი ოლიმპიელები ემზადებიან...

ესაუბრა იური იმერლიშვილი

მომავალი ჯარისკაცები

ზესტაფონში წვევამდელთა სპარტაკიადა გაიმართა

წვევამდელთა სპარტაკიადები ბოლო წლებში მივიწყებას მიეცა, თითქოს ეროვნული არმიისთვის ჯარისკაცთა ფიზიკური მომზადება მეორეხარისხოვანი რამ იყოს. საბედნიეროდ, გამოჩნდა ჩვენს ქვეყანაში ქალაქები და რაიონები, სადაც მომავალ ჯარისკაცთა ფიზიკურ სრულყოფაზე კვლავ ზრუნავენ. ერთი ასეთი სასიხარულო ინფორმაცია ზესტაფონიდან მივიღეთ.

— ზესტაფონის რაიონის სპორტკომიტეტი სისტემატურად ატარებს სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებას ახალგაზრდებისათვის. სპორტკომიტეტის თავმჯდომარის გია საყვარელიძის, განათლების განყოფილების გამგის ზურაბ კვეტენაძის, სამხედრო კომისრის ავთანდილ კიკნაველიძის თაოსნობით და ურთიერთთანადგომით ჩატარდა რაიონის წვევამდელთა სპარტაკიადა, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია — გვწერს გაზეთ „ზესტაფონის მოამბის“ თანამშრომელი **ბიორგი აბაშიძე.** პროგრამაში იყო სიგრძეზე ხტომა, რბენა 60 მეტრზე, სიმძიმეების აწევა, ძელზე მიზიდვა, კროსი.

გუნდური ადგილები: 1. №3 საშუალო სკოლა (დირექტორი ანზორ ბიწაძე, ფიზ. აღზ. მასწ. გია გაჩეჩილაძე, სამხ. მასწ. კახა კვერეხაძე), 2. №4 სკოლა (დირექტორი ალეკო სადირაშვილი, ფიზ. აღზრდის მასწავლებელი გურამ ჟღენტი, 3. სამხ. მასწავლებელი მუხრან ჩუბინიძე), 3. №2 სკოლა (დირექტორი ბეჟან საყვარელიძე, ფიზ. აღზ. მასწ. ნუგზარ ვარდოსანიძე, სამ. მასწ. გოჩა შალამბერიძე). მონაწილეობდნენ 29-ე საშ. სკოლის X-XI კლასის მოსწავლეები.

პირადი პირველობა. კროსი: 1. ლაშა ბებიაშვილი (მე-4 სკ), 2. ნოე კობახიძე (სოფ. ქვ. საზანო), 3. უშანგ ჭულუხაძე (ქვ. საზანო) და სულხან გელაშვილი (ძირულა); ***სიგრძეზე ხტომა:*** 1. ლაშა ბებიაშვილი, 2. ბეჟან ურიადმყოფელი (ქვ. საზანო), 3. დავით კაპანაძე (მე-2 სვირი); ***რბენა 60 მ-ზე:*** 1. ერეკლე მაღლაკელიძე (№4 სკ.), 2. დავით აბულაძე (დილიკაური), 3. ედიშერ წაქაძე (სადგ. სვირის სკ.) და ნუგზარ მანჯავიძე (№2 სკ.); ***სიმძიმეების აწვა:*** 1. მამუკა ძინძიბაძე (საზანო), 2. სულხან გელაშვილი, 3. გოჩა შალამბერიძე (№2 სკ.); ***ძელზე მიზიდვა:*** 1. დავით შალამბერიძე (№2 სკ), 2. ნუგზარ მუმლაძე (№ 1 სკ.); 3. ნოდარ გიორგაძე (მე-2 სვირი);

პრიზიორებს და გამარჯვებულებს გადაეცათ სიგელები და ფასიანი საჩუქრები. სპარტაკიადის ორგანიზებულ დონეზე ჩატარებაში დიდი წვლილი შეიტანა რაიონის ავტოინსპექციამ (გოგი კაპანაძე).

გულშემატკივართა თხოვნით

თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი

6-9 აპრილი. 2000 წ., ტექნიკური შედეგები



54 კგ: 1. ალექსანდრ ზახარუკი (უკრ), 2. ლეონიდ ჩოუჩუნოვი (რუს), 3. ივან დიორევი (ბულგ);

58 კგ: 1. მურად რამაზანოვი (რუს), 2.კამა არიფი (თურ), 3. ევგენი ბუსლოვიჩი (უკრ);

63 კგ: 1. მურადის უმახანოვი (რუს), 2. სერგეი სმალი (ბელარ), 3. სერაფიმ ბარზაკოვი (ბულგ);

69 კგ: 1. ემზარ ბედინეიშვილი (საქ), 2. სერგეი დემჩენკო (ბელარ), 3. ნიკოლაი პასლარი (ბულგ);

76 კგ: 1. ბოუვალს საიტიევი (რუს), 2. ბერეკეტ ადენი (თურ), ***3. გურამ მჭედლიძე*** (საქ);

85 კგ: 1. ადამ საიტიევი (რუს), 2. ბელბულატ მუსაევი (ბელ), 3. გაბორ კაპუვარი (უნგრ);

97 კგ: 1. საგრედ მურთაზალიევი (რუს), 2. არავატ საბიევი (გერ), 3. ვადიმ ტასოევი (უკრ);

130 კგ: 1. მარეკ გარმულევიჩი (პოლ), 2. დავიდ მოსულბესი (რუს), 3. სვენ თილე (გერ).

დებიუტი, მერე როგორი...

დღეს რომ ბევრი მოზარდი ქუჩასაა მოწყვეტილი და სპორტში მეცადინეობას ახმარს თავისუფალ დროს, ჩვენში მომუშავე კარატეს მწვრთნელების დიდი დამსახურებაა. ერთი მათგანია კლუბ „ოიამას“ ახალგაზრდა მწვრთნელი კახა ყავლაშვილი, რომელიც თბილისის 24-ე საშუალო სკოლაში ამეცადინებს ნორჩ სპორტსმენებს. სკოლის დირექტორმა ლია იოსელიანმა, ფიზაღზრდის მასწავლებლებმა შოთა ესებუამ, ლიზა ნაკაშიძემ და დავით ხავთასმა ყოველგვარი პირობები შეუქმნეს მწვრთნელს და ამავე სკოლის მოსწავლე შეგირდებს (საერთოდ, მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისათვის ამ სკოლაში გაწეულ სამაგალითო საქმიანობაზე „ლელოს“ უახლოეს ნომერში ცალკე ვისაუბრებთ).

ამ დღეებში გაიმართა IFK-ის საქართველოს ფედერაციის შიდა ტურნირი ნოკდაუნ კიოკუშინ კარატეში, სადაც კახა ყავლაშვილის აღსაზრდელებმა პირველად იასპარეზეს. დებიუტი კი ბრწყინვალე გამოდგა — თავიანთ ასაკობრივ ჯგუფებში ორთაბრძოლებში ჩაება 9 ნორჩი კარატისტი და მათგან ორმა პირველობა, შვიდმა კი მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა. გამარჯვებულები არიან ნიკა მასურაშვილი და შალვა შეყილაძე, მეორე პრიზიორები გახდნენ ძმები დათო და გიორგი ალსაბაძეები, კახა კოჭლაშვილი, ლევან ხუციშვილი, ნიკა შუბაშვილი, ნიკა ბერძული და გიგა ხებრელაშვილი.

ასე რომ, წარმატებების ათვლა დაიწყო.

ც. ბაძრაძე

სურათზე: თბილისის 24-ე საშუალო სკოლის მოსწავლე კარატისტები მწვრთნელ კახა ყავლაშვილთან ერთად.

კარატე
კლუბი „ოიამა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

საქართველოს XI ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

I ლიგა, II ეტაპი. IX ტურის წინ

IX ტურის ანონსი

I-VIII ადგილები

28-29 აპრილი

დინამო (თბ) – კოლხეთი-1913

ურთიერთშეხვედრები

სულ: 20 12 3 5 42-21

თბილისში: 9 7 0 2 27-4

ურთიერთშეხვედრების ბომბარდირები

ყაველაშვილი, ალექსიძე (დინამო) — 5-5

დარასელია (კოლხეთი-1913) — 3

სიონი – ვიტ-ჯორჯია

ურთიერთშეხვედრები

სულ: 7 2 1 4 5-9

ბოლნისში: 3 2 1 0 5-1

ურთიერთშეხვედრების ბომბარდირები

სიონიდან ხუთმა ფეხბურთელმა თითო გოლი გაიტანა. გიორგი ქორიძე (ვიტ ჯორჯია) — 3

ტორპედო – დინამო (ბთ)

ურთიერთშეხვედრები

სულ: 22 9 5 8 38-33

ქუთაისში: 10 6 3 1 20-11

ურთიერთშეხვედრების ბომბარდირები

დ. ჯანაშია (ტორპედო) — 7

ტუღუში (დინამო) — 7.

დილა – იბერია

ურთიერთშეხვედრები

სულ: 20 7 2 11 23-31

გორში: 9 6 1 2 13-6

ურთიერთშეხვედრების ბომბარდირები

მარლიშვილი, ზურ. ხორგუაშვილი (დილა) — 3-3

იონანიძე (იბერია) — 3.

IX-XVI ადგილები

მერანი-91 – სამგურალი

ურთიერთშეხვედრები

სულ: 7 3 3 1 7-5

თბილისში: 3 1 1 1 3-3

ურთიერთშეხვედრების ბომბარდირები

გელა ქორიძე (მერანი-91) — 2

სამგურალიდან ხუთმა ფეხბურთელმა თითო გოლი გაიტანა.

თბილისი – გორდა

ურთიერთშეხვედრები

სულ: 1 0 0 1 0-2

ურთიერთშეხვედრის ბომბარდირი

ვ. კილასონია (გორდა) — 2.

ლოკომოტივი – თსუ

ურთიერთშეხვედრები

სულ: 5 3 1 1 10-5

შინ: 2 1 1 0 4-2

ურთიერთშეხვედრების ბომბარდირები

დ. გოდერძიშვილი (ლოკომოტივი) — 3

თსუ-დან ხუთმა ფეხბურთელმა თითო გოლი გაიტანა.

არსენალი – კოლხეთი

ურთიერთშეხვედრები

სულ: 1 0 0 1 1-2

ურთიერთშეხვედრის ბომბარდირი

ხოსროშვილი (არსენალი) — 1

ოდიშარია (კოლხეთი) — 2.

„აღდგომა და – ხვალეო“

ტურისწინა მიმოხილვა

ხვალ, აღდგომის წინადღეს, გულშემატკივართა ვნებათაღელვას ორი კალენდარული მატჩი გამოიწვევს. თბილისის დინამო ძველ და საკმაოდ უხერხულ მეტოქეს ფოთის კოლხეთს მიიღებს. მათი პირველი შეხვედრა ფრედ 0-0 დასრულდა. რაც იმის მანიშნებელია, რომ მატჩი დინამოსათვის იოლ გასეირნებად არ გადაიქცევა, ხოლო მატჩის მნიშვნელობაზე ბევრი ლაპარაკი არც არის საჭირო, ქულები ორივე გუნდს სჭირდება. გამარჯვების შემთხვევაში ისინი მკვეთრად გაიუმჯობესებენ სატურნირო მდგომარეობას. კოლხები სამი ქულის მოპოვებით მეხუთე ადგილს ვერ გასცილდებიან, მაგრამ წინ გაჭრილ გუნდებთან სხვაობას მაინც შეამცირებენ. დინამოს კი კარგად თამაშისთვის ორი მნიშვნელოვანი მოტივი გააჩნია. ჯერ ერთი, ქუთაისში ტორპედოს წაგებისა ან ფრეს შემთხვევაში თბილისელები ორი ქულით გაასწრებენ იმერლებს და სულაც არ არის გამორიცხული გალიდერება ჩემპიონობად გარდასახონ. ლიდერი ვახსენეთ, ფავორიტებთან მატჩებში პირველ წრეში ტორპედომ ოთხ მატჩში თითო წააგო და მოიგო, ორი შეხვედრა კი ფრედ დაასრულა. მოკლედ, ჩემპიონატის დასაწყისიდან ფინალური ეტაპის მეორე წრემდე მოტანილი ქულათა დიდი უპირატესობა ქარს გაატანეს და ჩემპიონობისთვის ბრძოლას ფაქტობრივად თავიდან იწყებენ. უეჭველია, განახლებულ ტორპედოს სტადიონს ხვალ გულშემატკივრები არ მოაკლდება და მატჩიც თვალგასახარი სანახავი გამოდგება, მეტოქე ხომ ნამდვილად შესაფერისია – ბათუმის დინამო. მით უფრო, მასპინძლებისთვის გამარჯვება აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ტორპედოს საქმე გაურთულდება. პირველ წრეში დამარცხებისთვის რევანშის წადილიც ხომ ანგარიშგასაწევია. ფინალურ ეტაპზე დაუმარცხებლად მხოლოდ ორი გუნდი – თბილისის დინამო და ვიტ ჯორჯია ასპარეზობს. ვეტერანები ნებისმიერი მეტოქისთვის ანგარიშგასაწევი გუნდია, და დამარცხებას რომელიმე მათგანთან სერგო კოტრიკაძის შეგირდები, არც აპირებენ. თუმცა ბოლნისში სიონთან პაექრობა ადვილი არავისთვისაა და ვიტ ჯორჯიაც გასვლით მატჩს სერიოზულად უნდა მიუდგეს. გამარჯვების შემთხვევაში ისინი პირველი სამეულიდან რომელიმეს აუცილებლად წამოეწევიან ან გაასწრებენ კიდეც. დილა ზედიზედ მეორე შინაურ მატჩს ჩაატარებს, ამჯერად სამტრედიელებთან და თუ მოიგო, იბერიას დაეწევა.

ბ ზონის გუნდები ტურს დღეს დაიწყებენ. სკ თბილისი გორდას მიიღებს. მეტოქეებს განსხვავებელი ამოცანები აქვთ. რუსთაველები მეთორმეტე ადგილისთვის გააფთრებით ეპაექრებიან სტუდენტებს და წყალტუბოელებს. სამი ქულა მათ ჰაერივით სჭირდებათ. სამგურალს კი, თბილისში ურთულესი მატჩი ელის მოლონიერებულ მერანთან. ამ შეხვედრის დადებითი შედეგი უპირველესად იმერლებს ჭირდებათ, ეს სატურნირო ცხრილიდანაც კარგად ჩანს: მოგების შემთხვევაში მერანი კიდევ ერთხელ დაგვარწმუნებს თავის ძალაში და გუნდის მომავლის პერსპექტივაში. თბილისური დერბი – ლოკომოტივი – თსუ მნიშვნელოვანი მატჩია. სტუდენტებს სავსებით შეუძლიათ გაუთანაბრდნენ რკინიგზელებს თუ, რა თქმა უნდა, ამის უფლება ძოძუაშვილმა და კომპანიამ მისცა. შეიძლება ითქვას, რომ მატჩი საინტერესო, დაძაბული და უკომპრომისო იქნება. კიდევ ერთი შეხვედრა არსენალი – კოლხეთი, კლუბების დღევანდელი მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, ეს მართლაც, რომ აუტსაიდერთა მატჩია.

მიხეილ საბახტარიშვილი

I — VIII ადგილები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ
ტორპედო	8	4	2	2	19-9	32
დინამო (თბ)	8	3	5	0	9-1	31
დინამო (ბთ)	8	5	1	2	14-3	29
ვიტ ჯორჯია	8	4	4	0	7-3	28
კოლხეთი (ფ)	8	3	2	3	7-7	24
სიონი	8	2	1	5	9-15	18
იბერია	8	2	1	5	5-19	16
დილა	8	1	0	7	6-19	13

IX — XVI ადგილები

მერანი	8	6	2	0	10-1	28
ლოკომოტივი	8	5	2	1	14-2	26
გორდა	8	5	1	2	12-3	24
თსუ	8	5	0	3	11-7	23
სამგურალი	8	3	2	3	8-6	17
არსენალი	8	2	0	6	7-16	11
თბილისი	8	1	1	6	5-14	11
კოლხეთი (ხ)	8	1	0	7	7-25	8

სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტში

ბათუმის „დინამოს“ გაფრთხილება და პირობითი სასჯელი

14 აპრილს ვიტ ჯორჯიასთან ბათუმში კალენდარული მატჩის შემდგომ მომხდარი ინციდენტის გარჩევა 26 აპრილს სადისციპლინო კომიტეტის უმთავრესი თემა იყო. ეს მატჩი, როგორც ცნობილია, ტურის ცენტრალური შეხვედრა იყო, ორივე გუნდი ფავორიტია. თვით შეხვედრამ თუ მშვიდობიანად ჩაიარა და გუნდების წარმომადგენლებს არც ერთმანეთის, არც მსაჯების მიმართ საპრეტენზიო არაფერი ჰქონდათ, ინციდენტი მატჩის შემდეგ მოხდა, რაზედაც ჩვენი გაზეთი უკვე წერდა. ხულიგნობის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე, რომელიც ომარ გოგიაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა, მატჩის კომისარს გია ფირცხალავას, მთავარ მსაჯს ოთარ გუნთაძეს, კლუბების წარმომადგენლებს მოუსმინეს, გაეცვნენ მოხსენებით ბარათებს. დაადგინეს: მკაცრი გაფრთხილება მიეცეს ბათუმის დინამოს ხელმძღვანელობას, სტადიონს პირობითი დისკვალიფიკაცია მიეცა სეზონის ბოლომდე, ხოლო მიყენებულ მატერიალურ ზარალს კლუბების შეთანხმების საფუძველზე, ვიტ ჯორჯიას დინამო აუნაზღაურებს. ამავე სხდომაზე გამოიტანეს სასჯელებიც. გაგა ბეჩოშვილი (ვიტ ჯორჯია 2), რომელიც ჩოხელის თასზე თამაშობს, ასევე იქ მოასპარეზე – მთვარის გლობუსისა და დინამო 83-ის ფეხბურთელები – აივენგო პაპავა და თორნიკე ნავროზაშვილი, ბილწსიტყვაობისთვის და ჩხუბისთვის სეზონის ბოლომდე არიან დისკვალიფიცირებულნი. მერანი 91 – თბილისის მატჩში გაძევებული გიორგი ილურიძე ერთი მატჩითაა დისკვალიფიცირებული და 50 ლარი ჯარიმას გადაიხდის. ანალოგიური სასჯელები მიიღეს ს. კ. იბერიის ფეხბურთელმა პაპუნა ხიდაშელმა და მასპინძელმა დათო გვირჯიშვილმა. ცხუმელი შერმადინ დანელია და ვანელი კალისტრატე ნიკოლაიშვილი 2–2 მატჩს გამოტოვებენ და 100-100 ლარის ჯარიმას გადაიხდიან. ბახმარო-ჩელას მატჩში მასპინძელ ბესიკ გიორგაძეს მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფის მცდელობისათვის ხუთმატჩიანი დასვენება და 250 ლარი დაუჯდება. ზოოვეტი – შსს აკადემიისა და ზუგდიდის დინამო – ქობულეთის შუქურას მატჩებისას მომხდარი ინციდენტების განხილვა მხარეთა გამოუცხადებლობის გამო გადაიდო.

ბავშვთა ფეხბურთი

მასობრივი „მამლუქობა“ საქართველოში...

ახლახან გამართულმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომამ საგონებელში ჩააგდო ამ საყვარელი სპორტის ქომაგები. კი, ვიცოდით, რომ დღიდან დამოუკიდებლობის მიღებისა, ჩვენი ქვეყანა, ათასამდე (!) საუკეთესო მოთამაშემ დატოვა: სად არ ნახავ ქართველ ლეგიონერებს — ახლო საზღვარგარეთიდან დაწყებული ჩინეთ-ამერიკითა და ინგლის-პორტუგალიით დამთავრებული. და რაოდენ სამწუხაროა, წამსვლელთა ნაკადი ყოველწლიურად იზრდება და –ახალგაზრდავდება. დიახ, ეს არის ყველაზე საგანგაშო.

გულშემატკივრებს ახსოვთ, ალბათ, 90-იანი წლების დასაწყისში, ფიფა-უეფაში ახალი გაწევრიანებული ვიყავით, ქვეყნიდან ფეხბურთელთა მიგრაციის თაობაზე სფფ-მ არაერთხელ იმსჯელა, თითქოს ქმედითი ღონისძიებებიც დასახა ამ პრობლემის მოსაგვარებლად, იყო დრო წამსვლელთა ასაკობრივი ცენზიც კი დააწესა, მაგრამ გადაწყვეტილება ფარატინა ქაღალდზე დარჩა და ცხოვრებაში ვერ გატარდა — ადამიანის უფლებები ილახება, ფეხბურთელს თამაში მთვარეზეც რომ მოუნდეს, იქაც უნდა გავუშვათო. ჰოდა, მიდიან და მიდიან, მიდიან იქ, სადაც მეტს გადაუხდიან, სადაც უკეთესი ყოფითი პირობებია. სულ უფრო შრება და იფიტება ქართული ფეხბურთი...

რომ იტყვიან, მედალს ორი მხარე აქვს. ერთის მხრივ, ასეა, ნამდვილად — სანამ მყარად ფეხზე არ დავდგებით, ქვეყანაში უკეთესობისაკენ ძირეულად არ შეიცვლება ეკონომიკური სიტუაცია და აქედან გამომდინარე საფეხბურთო კლუბებიც ფინანსურად არ მომჯობინდებიან, მოთამაშეებს ძნელად დავაკავებთ. მაგრამ ვიყოთ გულწრფელნი, ბევრს, ვინც დღეს ქართულ ფეხბურთში ფუსფუსებს, ხელს აძლევს ეს სიტუაცია? მღვრიე წყალში თევზის დაჭერის მსურველები ნამდვილად ჯიბეს ისქელებენ შექმნილი მდგომარეობით, ფარულად მონაწილეობენ სხვადასხვა გარიგებაში. როგორც წესი, ასეთი ტრანსფერების დროს საფეხბურთო კლუბები და სახელმწიფო „მშრალზე რჩება“, გასამრჯელოს მხოლოდ მოთამაშე და შუამავალი, ფეხბურთისაგან ხშირად შორს მდგომი პიროვნება იღებს. თითქოს ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ საკვირველიც ეს არის, გამკითხავი არავინაა, არც სამისო იურიდიული ბერკეტები გაგვაჩნია.

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვწერდით, სრულწლოვან ფეხბურთელებს ვინ ჩივის, ახლა ჯერი ნორჩებზე მიდგა. ეს რომ ცალკეული, ერთეული ფაქტები იყოს, კიდევ ჰო, მაგრამ სავალალოც ის არის, ამან მასობრივი ხასიათი მიიღო, „მუმლუქებად“ უკვე რამდენიმე ათეული 10-15 წლის ბავშვი წაასხეს.

ამ დღეებში ერთი ნაცნობი შემხვდა, რჩევა მკითხა: 11 წლის ბიჭი მეზრდება, ფეხბურთს თამაშობს, თავის გუნდში საუკეთესოა და მწვრთნელები მიყოქინებენ თურქეთში ან საბერძნეთში რომელიმე კლუბში გავყიდოთ, ფული ოჯახს მოახმარეო. ცხადია, აღვშფოთდი, შვილის ასე გამეტება არ ვურჩიე, ვიცი გიჟირს, მაგრამ ბავშვს სამშობლოს ნუ მოსწყვეტ-მეთქი. საბედნიეროდ, დამიჯერა, მეც მაგ აზრზე ვდგევარ, მაგრამ რა ვუყოთ სხვა თანაგუნდელებს — მწვრთნელებმა, რომელთაც, ცხადია, პირადი გამორჩენა ამოძრავებთ, ნორჩებსა და მათ მშობლებს ყური გაუჭედეს ლამაზ, უშფოთველ საზღვარგარეთულ ცხოვრებაზე საუბრებითო. ამ ეპიზოდმა გამაოგნა, ჩამაფიქრა, ნუთუ ასეთი მდგომარეობაა სხვა

იხ. მე-4 გვ.

რობერტ ბაგოიანის ფოტო.

ეს ყმაწვილი ფეხბურთელები გ. გაგუას სახელობის „ნორჩი დინამოელის“ სკოლის (დირექტორი ოთარ გეგეჭკორი) აღსაზრდელები არიან (მწვრთნელი პაატა მეტრეველი). 1990 წლიანთა ეს გუნდი 1996 წელს ჩამოყალიბდა და თანატოლთა შორის არაერთ ტურნირში უასპარეზიათ წარმატებით — 4-ჯერ პირველები იყვნენ, 3-ჯერ — მეორე, 2-ჯერ კი მესამე ადგილი დაიკავეს. გუნდს ლიდერებიც ჰყავს — გიორგი მაკარიძე (მეკარე), გიორგი ტყებუჩავა, ბექა ქარდავა, ზაქრო ბეგლარიშვილი...

მარცხნიდან. I რიგში: ბექა ქარდავა, ბიძინა ქოქიაური, მიშიკო ტატუაშვილი, ილო გადელია, ირაკლი შანავა, შალვა ცოცხალაშვილი, გიორგი სეფიაშვილი, ზაქრო ბეგლარიშვილი, გიორგი შედანია; ***დგანან:*** გოჩა ჩინჩალაძე, ირაკლი სვანიძე, ირაკლი თოდუა, გიორგი ჩირგაძე, გიორგი თარგამაძე, გიორგი მაკარიძე, ბაჩო ალბუთაშვილი, შოთა გაბრიჭიძე, გიორგი ტყებუჩავა, ლაშა ელიავა, მწვრთნელი პაატა მეტრეველი.

იუბილარი

მწვრთნელი აღზრდილებით იცნობა



60-იან წლებში, როცა ქუთაისის „ტორპედო" დიდი საბჭოეთის უძლიერეს საფეხბურთო კოლექტივებთან ჭიდილში წარმატებით იცავდა ქართული ფეხბურთის პრესტიჟს, რიონისპირა ქალაქში დიდი საფეხბურთო ბუმი იგრძნობოდა, განსაკუთრებით გამოცოცხლება ბავშვთა ფეხბურთს ეტყობოდა. დილიდან საღამომდე ქალაქის განაპირა უბნებსა თუ კეთილმოწყობილ საფეხბურთო მინდვრებზე ბავშვები ქანცის გაწყვეტამდე ბურთს დასდევდნენ. გამონაკლისი არც ქალაქის მე-4 საშუალო სკოლის მოსწავლე ედუარდ შავგულიძე იყო. ყოფილ წულუკიძის ქუჩაზე დაბადებულ ყმაწვილს სტადიონის პრობლემა არ ჰქონდა, რადგან იმ პერიოდში №4 სამკერვალო ფაბრიკას და საკონსერვო ქარხანას კეთილმოწყობილი ფეხბურთის მინდვრები ჰქონდათ. შემდეგ კი ფეხბურთის სიყვარულმა ედუარდ შავგულიძე „ტორპედოს" ოსტატთა გუნდთან არსებულ მოსამზადებელ ჯგუფში მიიყვანა. გამოცდილი მწვრთნელები ლუტუშა ასათიანი, გივი ფირცხალავა, ავთანდილ ახობაძე და სხვები შესარჩევთა შორის იყვნენ საწვრთნელი ჯგუფების დაკომპლექტებისას. მისი ხელმძღვანელობით ედუარდ შავგულიძე და მისი თანაგუნდელები შოთა ოქროპირაშვილი, თენგიზ ვაწაძე, დულია თოდაძე, ანზორ ჩიხლაძე, მურმან ჯანელიძე, გურამ ფილიპაშვილი, ავთო კენჭაძე და სხვები დიდი გულმოდგინებით ეუფლებოდნენ ფეხბურთის საიდუმლოებას, ხვეწდნენ ოსტატობას, იმაღლებდნენ თამაშის კლასს.

დღეს 50 წელს მიღწეული ვეტერანი ედუარდ შავგულიძე გულთბილად იგონებს პირველ ნაბიჯებს შიდა თუ საკავშირო ტურნირებში. რა თქმა უნდა, სიხარულთან ერთად იყო წარუმატებლობაც.

1975 წელს ედუარდ შავგულიძე ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ თერჯოლის რაიონში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. პარალელურად თერჯოლის სპორტულ სკოლაში მუშაობდა მწვრთნელ-მასწავლებლად. სულ რაღაც სამი წლის საქმიანობით მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია რაიონის საფეხბურთო ცხოვრებას.

1978 წლიდან ედუარდ შავგულიძე მშობლიურ ქუთაისშია მწვრთნელად. ასწავლიდა შეგირდებს, პატიოსან, რაინდულ ბრძოლებს აჩვევდა. ღრმად სწამდა, რომ, როცა მისი აღზრდილები დიდ ფეხბურთს ითამაშებდნენ, მოედანზეც და ცხოვრებაშიც სამაგალითონი უნდა ყოფილიყვნენ. პირადად მინახავს 1993-95 წლებში, როცა ედუარდ შავგულიძე საფეხბურთო კლუბ „რწმენას" უფროსი მწვრთნელი იყო, როგორი ტაქტით არჩევდა თამაშებს, როგორი შთაგონებით უსახავდა მიზანს ყმაწვილებს. „რწმენა", რომელიც ნიჭიერი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული, ლამაზ, შემტევ, სწრაფ ფეხბურთს თამაშობდა. გუნდის წევრებმა მიხეილ აშვეთიამ, კახა ჩხეტიანმა, ძმებმა გიგიაძეებმა და სხვებმა ფართოდ გაითქვეს სახელი ქვეყნის გარეთაც კი.

20 წლის საფეხბურთო მოღვაწეობამ სახელოვან პედაგოგს მრავალი საინტერესო მოგონებები შემოუნახა, თუნდაც რად ღირს ედუარდ შავგულიძის თავკაცობით ქუთაისელი ჭაბუკი ფეხბურთელების წარმატებები შოთა იამანიძის სახელობის თასზე, გროზნოს საკავშირო ზონალურ პირველობაზე და 1983 წლის სიჭაბუკის თასზე მოპოვებული პირველი ადგილი, სადაც საქართველოს ნაკრებში მოხვდა ამაგდარი მწვრთნელის აღზრდილი დავით ნოზაძე, რომელიც წლების მანძილზე წარმატებით იცავდა სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები გუნდის სპორტულ ღირსებას. ამას მოჰყვა სახელოვანი მწვრთნელის შეგირდების წარმატებული თამაშები სპორტსაზოგადოება „ტრუდის" საკავშირო პირველობაზე და მრავალი სხვა.

თუნდაც ის, რომ მისი მოსწავლეები ბეგლარ შავგულიძე, ნუგზარ არაბიძე, მიხეილ ჭუმბურიძე, ბადრი კეხალაშვილი და დათო ნოზაძე საკავშირო ახალგაზრდული ნაკრების წევრები იყვნენ, ბევრის მთქმელია.

ბოლო ათწლეულში ჩვენში შექმნილი ურთულესი პირობების მიუხედავად, ედუარდ შავგულიძეს ერთი დღითაც არ შეუწყვეტია აღსაზრდელებზე ზრუნვა, რამაც სათანადო ნაყოფი გამოიღო.

დღეს კი ქუთაისის „ტორპედოში" თამაშობენ დათო ჯანაშია, მერაბ იონანიძე, კახა კვეტენაძე, ნიაზ მაღლაკელიძე, ალეკო შეყრილაძე, კახა ჩხეტიანი, ზაზა ვაჩიბერაძე, გია მეგრელაძე და გრიგოლ იმედაძე. წყალტუბოს „სამგურალში" თამაშობენ ირაკლი გიორგობიანი, ლაშა ფრანგიშვილი, შოთა დარსაძე, გელა ძაგნიძე, მიხო მახვილაძე. სამტრედიის „იბერიაში" — ვასო გიგიაძე, სოსო გიგიაძე, შალვა მუმლაძე, ლევან ფილიპაშვილი, ზესტაფონის „მარგვეთში" — შალვა ბიწაძე, ლაშა გამენაძე, გელა გედენიძე. ვლადიკავკაზის „ალანიაში" — მიხეილ აშვეთია, თბილისის „ვიტ-ჯორჯიაში" — ირაკლი ხაჭაპურიძე, რუსეთის და ბელარუსის გუნდებში — გელა გელაშვილი, კახა ესაიაშვილი და სხვები.

სხვადასხვა წლებში საქართველოს ეროვნული, ოლიმპიური და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების სპორტული ღირსება დაუცავთ მიხეილ აშვეთიას, მიხო მახვილაძეს, დავით ჯანაშიას, კახა ჩხეტიანს და გრიგოლ იმედაძეს.

ედუარდ შავგულიძეს 28 აპრილს დაბადებიდან 50 წელი უსრულდება. იუბილარი დღესაც ჩვეული ენერგიით განაგრძობს პედაგოგიურ საქმიანობას და სათავეში უდგას საინტერესო საფეხბურთო კოლექტივს ქუთაისის „დინამოს". აღზრდილები და აღსაზრდელები, ფეხბურთის გულშემატკივრები გულთბილად ულოცავენ საიუბილეო თარიღს სახელოვან აღმზრდელს.

ზურაბ ჯამახაძე

50 წლის წინათ. თბილისის „დინამოს" თამაშის ერთ-ერთი მომენტი ლენინგრადის „ზენიტთან" (ფოტო „ლელოს" არქივიდან).

მასობრივი „მამლუქობა" საქართველოში...

(პირველი გვერდიდან)

ბავშვთა გუნდებშიც? გავიკითხე, გამოვიკითხე, ვგლახ, რომ ნორჩების „დამუშავება" სხვაგანაც მეტნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობს...

რა ვქნათ, რა დავუპირისპიროთ შექმნილ მდგომარეობას? სამწუხაროდ, არასრულწლოვანი ფეხბურთელების გადინებას საქართველოს არც ერთი კანონი არ კრძალავს. ამიტომაა, სფფ-ს აღმასკომის გადაწყვეტილებით, ტრანსფერის თითოეულ შემთხვევას საგანგებო კომისია განიხილავს. თუ დარწმუნდნენ, რომ ბავშვი მართლაც მაღალი დონის საზღვარგარეთულ სკოლაში, კლუბში გადადის და იქ შეთავაზებული პირობები ნამდვილად არაა კაბალური, მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიცემა სათანადო ნებართვა.

კეთილი და პატიოსანი, რა შედეგს გამოიღებს ნორჩთა მიგრაციის შემცირებაში ფედერაციის მიერ შემოღებული ეს ბარიერი, მომავალში შევიტყობთ. მოდით, ახლა სხვაც ვთქვათ, დასამალი არაა, რომ დღეს ბავშვთა ფეხბურთი, ძირითადში, მშობელთა მიერ გაღებული ფულით საზრდოობს: მწვრთნელთა გასამრჯელო, ბურთებისა და სპორტული ფორმის, სხვადასხვა ტურნირში, შეკრებაში მონაწილეობის თანხა მათი გასასტუმრებელია. მოკლედ, დღეს თუ ბავშვი ფეხბურთზე დაგვყავს, საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნებაა და, ცხადია, მშობელსაც სრული უფლება აქვს გაღებული დანახარჯის საფასურად მწვრთნელებს მაღალნაყოფიერი, კვალიფიციური მუშაობა მოსთხოვოს. გულზე ხელი დავიდოთ, განა ბევრი გვყავს კი საქართველოში ისეთი დამრიგებელი, რომელიც თანამედროვე მეთოდებითა და ხერხებით შეასწავლის ნორჩებს ფეხბურთს? დასამალი არაა, ბავშვთა მწვრთნელების გარკვეულ ნაწილს წარმოდგენაც კი არა აქვთ პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის ელემენტარულ საკითხებზე, ყველანაირად თავს არიდებენ სფფ-ს ეგიდით მოწყობილ მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს. ვფიქრობთ, სავსებით მისასალმებელი და დროულია (თუ დაგვიანებული არა) ფედერაციის ხელმძღვანელთა ინიციატივა წლევანდლიდან ჩვენს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში მოაწყოს ფეხბურთის მწვრთნელთა მომზადება. რაც უფრო მეტი მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა სპეციალისტი იმუშავებს ქართულ ფეხბურთში, მით წინ წაიწევს საქმე. ზევით ვახსენეთ, ქართული ფეხბურთი, ძირითადში, მშობელთა შემოწირულობებით საზრდოობსო, მაგრამ გვჯერა, ასეთი მდგომარეობა დროებითია, სახელმწიფო აუცილებლად მოიცლის ბავშვთა ფეხბურთისთვისაც. ამას ითვალისწინებს „საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამაც", რომლის პროექტი უკვე მომზადებულია. ალბათ, ხელისუფლება, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო იმ კანონსაც მიიღებს, რომელიც წაახალისებს ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისათვის ჩადებულ ინვესტიციებს...

ჯემალ ჭიკაშვილი

P.S. ისე, ახლა რომ ვტეხთ განგაშს, არიქა, ნორჩი ფეხბურთელების მიგრაციამ მასობრივი ხასიათი მიიღოო, ხომ შეიძლებოდა უფრო პრინციპულები ვყოფილიყავით გაცილებით ადრე, ვთქვათ, ორი წლის წინათ, როცა „ლელომ" (№77, 1998 წ.) 35-ე საფეხბურთო სკოლის არასრულწლოვანი სამი მოსწავლის: ბობოხიძის, თავბერიძის და სირაძის თურქეთში გადასვლის შესახებ აუწყა მკითხველს? მაშინ, როგორც გახსოვთ, თბილისის „დინამოს" კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ, მთავარმა მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ და საქართველოს 16 წლამდე ჭაბუკთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოთარ შენგელიამ საგანგებო პრეს-კონფერენცია მოაწყვეს, სადაც შევიტყვეთ, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით მათ წერილით მიმართეს სფფ-ს, მოთხოვნით: მოწვეულიყო ფედერაციის რიგგარეშე აღმასკომის სხდომა. წერილი კი მისწერეს, მაგრამ... სფფ-ს რიგგარეშე ყრილობამდე დღეები რჩებოდა და ბავშვთა ფეხბურთისთვის მაშინ ვის ეცალა! მერე წავიდნენ ძველები, მოვიდნენ ახლები და სხვა უამრავ პრობლემასთან ერთად ეს პრობლემაც მემკვიდრეობით ხვდათ წილად. როგორც ხედავთ, ჩვენს თავს ახალი უბედურებაა, ის უბედურება, რასაც მასობრივი „მამლუქობა" ჰქვია.

ჩვენ ნაკრები გვყავს!

(პირველი გვერდიდან)

აგულიდან მარჯვენა მცველის ადგილზე გადაინაცვლა. რეხვიაშვილმა კი ხიზანიშვილის ადგილი დაიკავა და შესაშური შრომისუნარიანობა გამოამჟღავნა, პრაქტიკულად, ყველა საჰაერო ბრძოლა მოიგო, არც „პირველ სართულზე" დაუზოგავს თავი.

მეტად მნიშვნელოვანი იყო ნაკრებში დებიუტანტის, 24 წლის ვიტ-ჯორჯიელის სევასტი თოდუას გამოჩენაც. თავის დროზე ეს ბიჭი ნიკა ამირეჯიბმა აღმოაჩინა. ვიტ-ჯორჯიას პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ კი მასში გუნდისთვის აუცილებელი ფეხბურთელი დაინახა და მყისვე კონტრაქტი დაუდო. დებიუტანტმა ჩინებულად იშრომა და ძოძუაშვილს (ვისი იდეაც იყო სევასტის ნაკრებში მიწვევა) იმედები გაუმართლა.

26.IV.2000
ТОВАРИЩЕСКАЯ ВСТРЕЧА
ՀԱՅԱՍՏԱՆ
ՎՐԱՍՏԱՆ
საქართველო

ასეთი იყო მატჩის პროგრამა-სუვენირი

დინჯად და აუღელვებლად ჩაატარა მატჩი გრიშიკაშვილმა; პრაქტიკულად უშეცდომოდ ითამაშა ნემსაძემ, რომელიც ნაკრებისთვის ლიბეროდ იღწვის და უნდა ითქვას, შესარჩევი ციკლისთვის ეს პრობლემაც გადაჭრილი იქნება. ბევრი იმოძრავა სიჭინავამაც, რომელმაც ჩემი აზრით, უკვე დაიმკვიდრა ადგილი ნაკრებში. რაც შეეხება დანარჩენ ფეხბურთელებს, თავისი როლი ყველამ შეასრულა და აუგს ვერავისზე იტყვი. პირადად ჩემთვის ამ მატჩში ყველაზე მნიშვნელოვანი დაცვისა და ნახევარდაცვის შეთანხმებული თამაში და გამომჟღავნებული ბრძოლისუნარიანობა გახლდათ. თუ გოლი ვერ შევაგდეთ, ეს საგანგაშო არაა, რადგან რეზერვში არველაძეები, ჯანაშია, იაშვილი გვყავს.

ერთია კიდევ, პირადად ჩემი მოსაზრებაა, რომ საქართველოს ნაკრები მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული გამთამაშებელზე. დარწმუნებული ვარ ამ მატჩში ქინქლაძეც და ჯამარაულიც სომეხთა გუნდის რისხვად მოგვევლინებოდა. ოფიციალურ მატჩებში ეს ფეხბურთელები, ბუნებრივია, ნაკრებში იქნებიან და მაშინ ჩვენი ფორვარდებიც „მშრალ ულუფაზე" აღარ იქნებიან.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ერევანს კმაყოფილი ვტოვებდი — მეხუთე მატჩი წაუგებლად (ხუთივე სტუმრად) სულაც არ გახლავთ სახუმარო საქმე, თანაც თუ გავითვალისწინებთ, რა ჟინით და სპორტული ბოღმით გველოდა მეტოქე.

დიახ, ჩვენ ნაკრები გვყავს!

მამუკა კვარაცხელია,
სფფ-ს პრეს-ატაშე, ერევანი

საქართველოს XI ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

I ლიგა, II ეტაპი, IX ტურის წინ

მატჩები, მსაჯები, კომისრები

«ა» ზონა

29.04: ***დილა — იბერია.*** ინსპექტორი ნ. კაკულია, მთ. მსაჯი — ს. კვარაცხელია, ასისტენტები: კიკაჩეიშვილი, დოლიძე. მეოთხე მსაჯი — მ. მაისურაძე.

სიონი — ვიტ. ჯორჯია. ინსპექტორი — ნ. ამირეჯიბი, მთ. მსაჯი — თ. ლაცაბიძე, ასისტენტები: ჯვარიძე, სილაგავა, მეოთხე მსაჯი: ზ. ანიაშვილი

დინამო (თბ) — კოლხეთი-1913 ინსპექტორი — გ. ფირცხალავა, მთ. მსაჯი — ა. ორდინიძე, ასისტენტები: ბუიშვილი, ბრეგვაძე, მეოთხე მსაჯი — ო. გუნთაძე

ტორპედო — დინამო (ბთ). ინსპექტორი — ა. მილჩენკო, კომისარი — მ. ანჯაფარიძე, მთ. მსაჯი — ა. შილაკაძე, ასისტენტები: ელიკაშვილი, ი. შალამბერიძე, მეოთხე მსაჯი: ი. კახიანი.

«ბ» ზონა

28.04: ***თბილისი — გორდა.*** ინსპექტორი — კ. ყრუაშვილი, მთ. მსაჯი — ა. შალამბერიძე, ასისტენტები: კიკაჩეიშვილი, რუსიშვილი, მეოთხე მსაჯი — ა. მეშკოვი.

29.04: ***მერანი — სამგურალი.*** ინსპექტორი — მ. ლაცაბიძე, მთ. მსაჯი — კ. მესხი. ასისტენტები — სამხარაძე, ცირდავა. მეოთხე მსაჯი — ა. შალამბერიძე.

არსენალი — კოლხეთი (ხ). ინსპექტორი ბ. ქარქაშაძე, მთ, მსაჯი — პ. დოგრაშვილი, ასისტენტები: გაბრიაძე, ურუშაძე, მეოთხე მსაჯი: გ. ასკაროღლი.

ლოკომოტივი — თსუ. ინსპექტორი — ა. დურსუნლიში, მთ. მსაჯი — ა. კრიჭაშვილი, ასისტენტები: ჩიგოგიძე, მენთეშაშვილი, მეოთხე მსაჯი — მ. მაღალურაძე.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს სფფ-ს ინსპექტორს, ყოფილ მსაჯს ამირან აფრიდონიძეს დედის გარდაცვალების გამო.

ჩაწერეთ საქართველოს XI ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე „ვიტ-ჯორჯიას" ფეხბურთელთა გვარები. ადმინისტრაცია (განაცხადის მიხედვით)



ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩემპიონია

ერთი, მაგრამ მთავარი საკითხი

დევიდ ბექჰემისა და ემანუელ პეტის (№17) ორთაბრძოლა

„მიუ“ – „დერბი“ – 3-1. ჰეთ-თრიკის ავტორი დუაიტ იორკი (№19)

ჯერჯერობით ინგლისის პირველობაზე გადაწყდა მხოლოდ ერთი, მაგრამ მთავარი და პრინციპული საკითხი: გამოვლინდა ჩემპიონი.

XXXIV ტურის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედს“ 79 ქულა დაუგროვდა და უახლოეს მდევარ „ლივერპულისათვის“ მიუწვდომელი გახდა. ახლა ამ კლუბის ისედაც დიდ წარმატებებს კიდევ ერთი დაემატა — „მანჩესტერ იუნაიტედი“ უკვე ინგლისის 13-გზის ჩემპიონია. სტატისტიკის მოყვარულთათვის: ეს მოხდა 1907-8, 1910-11, 1951-52, 1955-56, 1956-57, 1964-65, 1966-67, 1992-93, 1993-94, 1995-96, 1996-1997, 1998-99 და 1999-2000 წლებში. დავუმატოთ ამას ინგლისის თასის ათჯერ მოგება (1909, 1948, 1963, 1977, 1983, 1985, 1990, 1994, 1996, 1999 წლებში). კლუბმა ერთხელ ლიგის თასიც მოიგო (1992), ერთხელ თასების მფლობელთა თასი (1991). უფრო მეტს ნიშნავდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ორჯერ (1968, 1999), ევროპის სუპერთასის ერთხელ (1991) და საკონტინენტთაშორისო თასის (1999) მოპოვება. ეს, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული წარმატებებია, რომელიც, ცოტა არ იყოს, გაუფერულდა იმით, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ წლევანდელ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ სტადიაზე იგემა მარცხი.

ასეა თუ ისე, სერ ალექსანდრ ფერგიუსონის გუნდისთვის ინგლისის 1999-2000 წლების პირველობა დამთავრებულია. ახლა მას ჩასატარებელი დარჩა სულ სამი მატჩი: 29 აპრილს სტუმრად „უოტფორდთან“ (თუ ჩავთვლით, რომ „უოტფორდი“ უკანასკნელ ადგილზეა და კარგა ხანია განწირულიც, ამ შეხვედრას უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს), 6 მაისს მიიღებს „ტოტენჰემ ჰოტსპურს“ (ლონდონელებს უეფას თასის საგზურისათვის ბრძოლის რაღაც მინიმალური შესაძლებლობები თუ აქვთ), ხოლო 14 მაისს დაამთავრებს ჩემპიონატს სტუმრად „ასტონ ვილასთან“ (ბირმინგემელები უეფას თასის საგზურისათვის იბრძვიან).

თუ ახალი ჩემპიონისათვის შეჯიბრება ფაქტობრივად დამთავრებულია, გრძელდება მეტად შეუპოვარი ბრძოლა საპრიზო ადგილებისათვის, რაც იმავდროულად ჩემპიონთა ლიგის საგზურისათვის ბრძოლას ნიშნავს.

მიმომხილველები ძალიან აქებენ ამჟამად მეორე ადგილზე მყოფ „ლივერპულს“ და აღნიშნავენ, რომ ფრანგმა მწვრთნელმა ჟერარ ულიემ, ბოლოს და ბოლოს, შეძლო თავისი იდეების განხორციელება. „ლესტერ სიტიდან“ გადმოსულმა შესანიშნავმა თავდამსხმელმა ემილ ჰესკიმ მრისხანე დუეტი შექმნა ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავ მაიკლ ოუენთან ერთად, რომელიც, დიდი ხანი არ არის, რაც ტრავმის შემდეგ მინდორს დაუბრუნდა. ახლა ამ პოპულარული კლუბის გულშემატკივრები უმთავრესად იმას ნანობენ, რომ ეს უმნიშვნელოვანესი ცვლილებები გვიან მოხდა, თორემ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ჩემპიონობას ასე იოლად არ დაანებებდნენ. „ლივერპულის“ თავდამსხმელთა ახლანდელი მიღწევები ძალიან ახარებს ინგლისის ნაკრების მწვრთნელ კევინ კიგანს — გამოჩნდა, თუ ვის უნდა მიენიჭოს ევროპის ჩემპიონატის წინ ეროვნულ გუნდში მოხვედრის მრავალ პრეტენდენტთაგან უპირატესობა. რა თქმა უნდა, „ლივერპულს“ ჯერ კიდევ მოუხდება შეუპოვარი ბრძოლა მეორე ადგილის მოსაპოვებლად. უფრო კონკრეტულად — 29 აპრილს მეტად მძიმე მატჩი ელის ლონდონში „ჩელსისთან“, რომელიც ახლა მეხუთე ადგილზეა და კვლავ აქვს ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის ერთგვარი იმედი, 6 მაისს მიიღებს „საუთჰემპტონს“, რომელმაც პრემიერ-ლიგაში შეინარჩუნა ადგილი, მეტის პრეტენზია კი არა ჰქონდა. „ლივერპული“ ჩემპიონატს 14 მაისს დაამთავრებს სტუმრად „ბრედფორდთან“, რომელსაც, ეტყობა, მოუწევს უმაღლესი ლიგის დატოვება.

„არსენალი“ წლევანდელ ჩემპიონატში მძიმედ დატვირთული იყო, მას ხომ ჯერ ჩემპიონთა ლიგაში მოუხდა თამაში, შემდეგ კი უეფას თასზე გადაერთო. ამას „მეთოფეებმა“ გაუძლეს, ფაქტობრივად, ორი შემადგენლობის გამო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აქ თავდასხმაში გამოდიან ანრი, კანუ, ბერხკამპი, ოვერმარსი და ისეთ შესანიშნავ ფორვარდს, როგორიც შუკერია, რომ იტყვიან, ათასში ერთხელ უხდებოდა თამაში (და ამიტომაც სტოვებს „არსენალს“). შესანიშნავი მწვრთნელი არსენ ვენგერი ახლა ორი რთული პრობლემის წინაშე დგას: იბრძოლოს ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის უფლებისათვის და მეორე მხრივ, მოემზადოს უეფას თასზე სტამბოლის „გალათასარაისთან“ გადამწყვეტი, ფინალური მატჩისათვის, სადაც, ცხადია, წარმატების იმედი აქვს. ინგლისის პირველობაზე „არსენალი“ შეხვდება ჯერ სტუმრად „ევერტონს“ (რომელიც უეფას თასის საგზურისათვის ბრძოლის მინიმალურ შესაძლებლობებს ინარჩუნებს), შემდეგ უაღრესად პრინციპულ მატჩში მიიღებს „ჩელსის“, ხოლო ჩემპიონატს ნიუკასლში დაამთავრებს.

რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგის კიდევ ერთ პრეტენდენტ „ლიდს იუნაიტედს“, იგი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა უეფას თასზე „გალათასარაისთან“ მარცხის შემდეგ. ახლა „ლიდსი“ შეხვდება ჯერ ერთ-ერთ აუტსაიდერ „შეფილდ უენსდეის“ (სტუმრად), შემდეგ „ევერტონს“ მიიღებს, ბოლოს კი ლონდონში „ვესტ ჰემ იუნაიტედთან“ ითამაშებს.

ენდი კოული – გადამწყვეტი გოლის ავტორი ლიდსელთა კარში

ერთი სიტყვით, ინგლისის ჩემპიონატის ფინიშზე სატურნირო ინტრიგა ძალიან დიდია. რა თქმა უნდა, არის კლუბები, რომლებსაც ახლა თითქმის არაფერი აღელვებს. ერთი მათგანია თემურ ქეცბაიას „ნიუკასლ იუნაიტედი“, რომელიც, ცხადია, უმაღლეს ლიგაში დარჩა, მაგრამ უეფას თასამდე ვერ მიაღწია. რაც შეეხება თვით ქართველ ფეხბურთელს, რომელიც გვარიანად კი თამაშობდა, მაგრამ მაინც გაუჭირდა ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება, მას მოუხდება „ნიუკასლ იუნაიტედის“ დატოვება. სად გადადის? კანდიდატი სამია და ამასთან არც ერთი მათგანი არ არის „ნიუკასლზე“ ნაკლები: ლივერპულის „ევერტონი“, ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ და „ლესტერ სიტი“. „ნიუკასლი“ ქეცბაიაში 1 500 000 გირვანქა სტერლინგს ითხოვს. ისე რომ, ქართველი, როგორც ჩანს, არაფერს წააგებს.

რაც შეეხება გიორგი ქინქლაძის „დერბი ქაუნთს“, მას ჯერ კიდევ გარანტირებული არა აქვს პრემიერ-ლიგაში დარჩენა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება დარჩენილ მატჩს ლონდონში 29 აპრილს „ტოტენჰემ ჰოტსპურთან“, 6 მაისს შინ „ნიუკასლ იუნაიტედთან“ და 14 მაისს ლონდონში „ჩელსისთან“. სამივე შეხვედრა, ცხადია, „იოლთა კატეგორიას“ ნამდვილად არ მიეკუთვნება.

რაც შეეხება რატი ალექსიძეს („ჩელსი“), მას ახლანდელ ჩემპიონატში არ მოუხდა თამაში, მაგრამ ჯანლუკა ვიალი მას მომდევნო ასპარეზობისათვის ამზადებს.

ბივი ბამრეკელი

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ინგლისში ასახელებენ საუკეთესოებს

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებსაც შეიძლება პრეტენზია ჰქონდეთ ქვეყნის №1 მოთამაშის წოდებაზე: „მანჩესტერ იუნაიტედის“ როი კინი და ენდი კოული, „ლიდს იუნაიტედის“ საუკეთესო ფეხბურთელი ჰარი კიუელი, ლიგის საუკეთესო სნაიპერი კევინ ფილიპსი („სანდერლენდი“), ინგლისის ნაკრების კაპიტანი ალან შირერი („ნიუკასლ იუნაიტედი“) და ფინელი მცველი სამი ჰიუიუპია „ლივერპულიდან“...

კიუელი წლის ყველაზე უკეთესი ახალგაზრდა მოთამაშის წოდების პრეტენდენტიცაა. აქ მისი მეტოქეები არიან მისივე კლუბის „ლიდს იუნაიტედის“ მოთამაშეები ლი ბოიერი და მაიკლ ბრიჯესი, „ქოვენთრი სიტის“ ირლანდიელი მცველი რობი კინი, ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელები ჯო კოული („ვესტ ჰემ იუნაიტედი“) და სტივენ ჯერარდი „ლივერპულიდან“.

ფეხბურთელი დაატყვევეს და... ბოდიში მოუხადეს!

კოლუმბიაში მოიტაცეს ქ. მედელინის „ატლეტიკო ნასიონალის“ 32 წლის მოთამაშე ანდრეს ესტრადა.

მოიტაცეს და მეორე დღესვე გაანთავისუფლეს. როგორც თვით ფეხბურთელმა განაცხადა, ინციდენტი შემთხვევით მოხდა. იგი დააკავეს ე.წ. განთავისუფლების ეროვნული არმიის მებრძოლებმა, როცა ესტრადას ძვირფასი მანქანა დაინახეს, იგი რომელიღაც მდიდარ ბიზნესმენში აერიათ, როცა დარწმუნდნენ, რომ შეცდომა მოუვიდათ, ფეხბურთელს ბოდიში მოუხადეს და გაანთავისუფლეს!

ბულგარელებიც „გაგიჟდნენ“?

სოფიის კლუბ „ლევსკის“ 148 გულშემატკივარი, რომლებიც ქ. ბურგასში მიემგზავრებოდნენ ქვეყნის ჩემპიონატის მორიგ მატჩზე, მატარებლიდან ჩამოსვეს და დააპატიმრეს ქ. სტარა-ზაგორაში.

ადგილობრივ პოლიციას დიდი წვალებით მოუხდა ესოდენ მრავალრიცხოვანი ჯგუფის დაშოშმინება. ფანებმა გაანადგურეს მატარებლის რამდენიმე ვაგონი, ხოლო ქ. სტარა-ზაგორას სადგურში რომ მივიდნენ, ვაგონებიდან ბოთლების სროლა დაიწყეს. როცა მცირერიცხოვანი პოლიციელები საქმეში ჩაერივნენ, ფანატებმა მათთან ჩხუბი დაიწყეს, სამ მათგანს თავი გაუხეთქეს და დანებით ჭრილობებიც მიაყენეს. ვანდალები მხოლოდ სადგურზე მისულმა ადგილობრივმა ომონმა შეაჩერა. 143 ფანის მიმართ (მათგან 27, 18 წლამდე მოზარდია) გამოყენებული იქნება ადმინისტრაციული სანქციები, ხოლო არეულობის 5 მოთავის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება.

ასე ესმის ზანგ ფეხბურთელს

როგორც მოსკოვის „სპარტაკის“ ხელმძღვანელი ოლეგ რომანცევი აცხადებს, როცა კი ბრაზილიელი ზანგი თავდამსხმელი ლუის რობსონი გუნდში ჩაირიცხა, იგი, შეიძლება ითქვას, უმწიფარი იყო, ახლა კი ოსტატად ჩამოყალიბდა. აი, რას ამბობს თვით რობსონი:

— ნამდვილი სპარტაკელი გავხდი. „სპარტაკი“ ნამდვილი ოჯახია, ჩვენ ყველა კი ნათესავები. რომანცევი ჩვენი მამაა, ჩვენ კი მისი შვილები, სამოხინი (კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი) ჩვენი ბიძაა, გროზნი (მეორე მწვრთნელი) კი ჩემი უახლოესი მოკეთე.

გულშემატკივრები ერთმანეთს არ ინდობენ

ქ. სან-პაულუში ერთმანეთს ძალიან გადაემტერნენ წამყვანი საფეხბურთო კლუბების „კორინთიანსისა“ და „სან-პაულუს“ გელშემატკივრები. ქუჩაში მათი მორიგი შეჯახების შედეგად 18 წლის სტუდენტი დაიღუპა. მას ზურგში მოხვდა ტყვია, გარდა ამისა, დანით სამი ჭრილობაც მიაყენეს — გამოაცხადა სან-პაულუს პოლიციის წარმომადგენელმა.

სამი კაცი დაიღუპა...

... საშინელი ჭეჭყვის შედეგად, რომელიც მონროვიაში დაიწყო ლიბერია-ჩადის ნაკრებების შეხვედრისას მსოფლიო შესარჩევ ტურნირში.

რამდენიმე მაყურებელი კი მძიმე მდგომარეობაში საავადმყოფოებში მიიყვანეს.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ვეტერანები გვირჩევენ...

მილან მილანიჩი: ...„ტალანტი, ფანტაზია, იმპროვიზაცია, ტექნიკა, კარგი ფიზიკური მომზადება, რკინისებური ნერვები“...

მას 4 მაისს 70 წელი შეუსრულდება. მეორე მსოფლიო ომში, სრულიად ჭაბუკი, პარტიზანად წავიდა, სიმამაცისათვის ორი ორდენიც მიიღო. შემდეგ მილან მილანიჩი, როგორც ფეხბურთელი, ბელგრადის „ცრვენა ზვეზდაში“ თამაშობდა. გავიდა ხანი და იმავე კლუბს ჩაუდგა სათავეში, ოთხგზის მოიპოვა იუგოსლავიის ჩემპიონობა, სამჯერ — იუგოსლავიის თასი, 1971 წელს კი გუნდი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ნახევარფინალამდე მიიყვანა. ხელმძღვანელობდა მადრიდის „რეალს“, რომელიც მისი მოთავეობით ორჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი, ორჯერ კი ქვეყნის თასის მფლობელი, შემდეგ იყო „ვალენსიასა“ და კუვეიტში გატარებული წლები. ორჯერ (1973-74 და 1978-82 წლებში) იყო იუგოსლავიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ახლა კი იუგოსლავიის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტია.

აი ჟურნალისტებთან მილანიჩის საუბრის რამდენიმე ნაწყვეტი:

● ***მრავალი წლის წინათ თქვით, რომ იუგოსლავია საფეხბურთო თვალსაზრისით უფრო მალე გამოდის კრიზისიდან, ვიდრე საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებიდან.***

— იცით რატომ? იმიტომ, რომ ყველა 7-8 წელიწადში კრიტიკულ სიტუაციაში აღმოვჩნდებით ხოლმე, ამიტომაც ვიცით, როგორ უნდა მოვიქცეთ. შემდეგ კვლავ კრიზისულ სიტუაციაში ვართ და კვლავ ვძლევთ (იცინის).

● ***ყოველთვის ჰქონდა იუგოსლავიის ნაკრებს პრობლემები „უცხოელებთან“?***

— დიახ, ჯერ კიდევ 1966 წლიდან, როცა ოფიციალურად ვაღიარეთ პროფესიული ფეხბურთი. ისინი, ვინც უცხოეთში პირველად გაემგზავრნენ, მხოლოდ ფულზე ფიქრობდნენ. ეს საბავშვო ავადმყოფობა კარგა ხანია დაძლეულია, ახლა ჩვენი მოთამაშეები უცხოეთში საქმისადმი პროფესიული დამოკიდებულების ნიმუშს იძლევიან.

● ***რატომაა, რომ ახლა ასე ძნელი გახდა ახალი ტალანტების აღმოჩენა?***

— იმიტომ, რომ მწვრთნელები უცდიან, როდის მიაკითხავენ მათ მოთამაშეები, ეს კი პირიქით უნდა ხდებოდეს. ისე გამოდის, რომ საშუალო ნიჭის ახალგაზრდები სტადიონებზე თამაშობენ, ნამდვილი ტალანტები კი ეზოებსა და სკოლებში.

● ***როგორია, თქვენი აზრით, თანამედროვე იდეალური ფეხბურთელი?***

— ეს არის უნივერსალური მოთამაშე, რომელსაც აქვს ტალანტი, ფანტაზია, იმპროვიზაცია, ტექნიკა, კარგი ფიზიკური მომზადება და რკინისებური ნერვები. მომავალი სწორედ ასეთ ფეხბურთელს აქვს. დღეს ყველა საფეხბურთო სკოლასა და მიმდინარეობის ტოტალური ინტეგრაციის მოწმენი ვართ. დიდი ტურნირები, ისეთები, როგორიც არის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, სუპერშეჯიბრებებია, სადაც იმარჯვებს კომპლექსურად მომზადებული გუნდი.

● ***იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელი იყავით 1974 და 1982 წლებში, მაგრამ დიდი წარმატება არ გქონიათ. რას ფიქრობთ ახლანდელი ნაკრების შესაძლებლობებზე ევრო – 2000-ში?***

— პროგნოზები არ მიყვარს, იმიტომ, რომ, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი შედარებითია. ბევრი რამ იმათ მზადყოფნაზე იქნება დამოკიდებული, ვინც ევროპის ქვეყნების სხვადასხვა ჩემპიონატში გამოდის. საჭიროა ძალების განაწილება მთელ სატურნირო დისტანციაზე, ამას კარგად გერმანელები აკეთებენ ხოლმე. შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ ყოველთვის, როცა მსოფლიო ჩემპიონატებში გამოვდიოდით, კარგი გუნდები გვყავდა, მაგრამ ობიექტური და სუბიექტური მიზეზები ხელს გვიშლიდა დიდი წარმატებების მისაღწევად. ახლა ჩვენ კვლავ მტკიცე გამოცდილი გუნდი გვყავს, რომელსაც ევროპის ჩემპიონატში წარმატებით გამოსვლის შესაძლებლობები აქვს.

● ***როგორ გესახებათ იუგოსლავიური ფეხბურთის მომავალი?***

— შეშფოთების საფუძველი არა გვაქვს. იუგოსლავიური საფეხბურთო სკოლა კარგად არის ცნობილი მთელ მსოფლიოში. მოთამაშეებისა და მწვრთნელების წყალობით მან სიცოცხლისუნარიანობა მაშინაც კი დაამტკიცა, როცა 90-იან წლებში ომი მიმდინარეობდა. იუგოსლავიაში, როცა ქვეყანა უაღრესად მძიმე მდგომარეობაში იყო, ყოველ კვირას მაინც მიმდინარეობდა 200-ზე მეტი მატჩი უამრავი მაყურებლის დასწრებით. სწორედ ამ პერიოდში აღიზარდა ეროვნული ნაკრებისათვის 17 მოთამაშე. რომელი ქვეყანა გაუძლებდა ამგვარ იზოლაციას, კვლავ გამოვიდოდნენ მსოფლიო საფეხბურთო სცენაზე. ჩვენ ღირსებისა და სახელისათვის ვიღწვოდით, გადავარჩინეთ დაღუპვისაგან ჩვენი ფეხბურთი.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ვარსკვლავები

ანტონიო კონტე

ანტონიო კონტე თანამედროვე იტალიურ ფეხბურთში ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა. მისი პირადი „რეიტინგი“ ტურინის „იუვენტუსში“ ახლა მაღალია, თუმცა იყო დრო, როცა იგი სერიოზულად ფიქრობდა დაემთავრებინა თავისი კარიერა და ამით ბევრი უსიამოვნებისთვის მოეღო ბოლო.

ანტონიო კონტე დაიბადა 1969 წლის 31 ივლისს ლეჩეში. 178 სმ სიმაღლისაა და 73 კგ იწონის. ეს არის მებრძოლი, საკუთარ ძალებში სავსებით დარწმუნებული ნახევარმცველი, ამბიციური ფეხბურთელი, „კონტე“ იტალიურად ნიშნავს „გრაფს“, რომელსაც შეუძლია არ გაიზიაროს რომელიმე მწვრთნელის კონცეფცია და დაუპირისპირდეს კიდეც მას. 16 წლიდან კონტე მშობლიური ქალაქის კლუბ „ლეჩეში“ თამაშობდა. იქ მან მთელი 6 წელი გაატარა და დაწინაურდა როგორც შესანიშნავი ოსტატი. პროვინციულ „ლეჩეში“ მის დარჩენას რაღა აზრი ჰქონდა და 1991 წლის დეკემბრიდან კონტე უკვე ტურინის „იუვენტუსში“ ჩაირიცხა. სად მიყრუებული „ლეჩე“ და სად „ბებერი ქალბატონი“, რომელსაც „პირდაპირი დამოკიდებულება“ აქვს როგორც „სკუდეტოსთან, ისე ჩემპიონთა ლიგასთან. ასეთ დიდ კლუბში უქმად არავინ არის, წარმატების შემთხვევაში დიდად გაფასებენ და გასაჩუქრებენ (თუმცა სინიორ ანიელი გულუხვობით „მილანის“ მფლობელ ბერლუსკონისთან ვერ მოვა, ისე კი, ცხადია, მასზე მდიდარია, თუმცა ფეხბურთელების ყიდვისას მაინც მეტ ანგარიშიანობას იჩენს).

კონტე დიდხანს „იუვენტუსის“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იყო, მაგრამ კლუბის სათავეში მარჩელო ლიპის მოსვლამ ყველაფერი შეცვალა. ახალ მწვრთნელს „გრაფი“ თვალში არ მოსდიოდა და ნახევარდაცვა გადაახალისა: აქ თამაშობდნენ ზინედინ ზიდანი, დიდიე დეშამი, ზოგჯერ მათი ფრანგი თანამემამულე ჟოსლენ ბლანშარი, რასაკვირველია, გრძელთმიანი და შავსათვალიანი (ისე, „პიჟონობისათვის“, თითქოს მზე ძალიან აწუხებს) ედგარ დავიდსი, ალესიო ტაკინარდი და ჯანლუკა პესოტო. კონტესთვის სადღა რჩებოდა ადგილი...

ანტონიო კონტე (მარჯვნივ) ერთ-ერთი საუკეთესოა „იუვე“-ში

ანტონიო კონტესათვის დიდი იმედგაცრუება იყო 1998 წლის მაისის მატჩი ამსტერდამში, სადაც „იუვენტუსი“ ჩემპიონთა თასის ფინალურ მატჩში დამარცხდა მადრიდის „რეალთან“. „შეხვედრის დამთავრების შემდეგ, მე კი მინდორზე სულ 16 წუთი დავყავი, მივირბინე ჩვენს ფანებთან და ჩემი მაისური ვესროლე. მე ვიგრძენი, რომ დგებოდა კლუბთან გამოთხოვების დრო“.

ამას კონტეს ტრავმაც დაერთო. იგი კაპიტნობიდან გადააყენეს და სამკლაური დელ პიეროს გადასცეს. ეს ანტონიომ დიდ შეურაცხყოფად აღიქვა. „ლიპიმ თვითონ წამართვა სამკლაური, რა შუაშია არიან აქ პარტნიორები. თანაც ეს ჩემი არყოფნის დროს მოხდა“.

ერთი სიტყვით, კონტეს კარიერა „იუვენტუსში“ თითქოს დამთავრდა. ტურინელები უკვე მოელაპარაკნენ მადრიდის „ატლეტიკოს“ მისი გაყიდვის შესახებ, მაგრამ ბოლო მომენტში გარიგება არ შედგა. არიგო საკიმ (რომელიც ადრე კონტეს ძალიან აფასებდა), „ატლეტიკოს“ მაშინდელმა მწვრთნელმა ჩათვალა, რომ „იუვე“ ხეიბარს „სთავაზობდა“. რა ელოდა ამის შემდეგ ვეტერანს? ან რომელიმე უმნიშვნელო პროვინციულ კლუბში თამაში, ანდა, სულაც ფეხბურთთან გამოთხოვება.

მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი: კაცი ბჭობდა, ღმერთი კი იცინოდაო. მოხდა ისე, რომ კონტე დარჩა გუნდში, ლიპიმ კი „იუვე“ დატოვა. მწვრთნელი, მართალია აგვისტოდან ირწმუნებოდა, რომ ეს სეზონი ტურინში მისთვის უკანასკნელი იქნებოდა, და, ცხადია, ცდილობდა ტრიუმფულად დაემთავრებინა. ნურას უკაცრავად! „იუვენტუსში“ ყველაფერი მოიშალა (კონტე, ვიმეორებთ, არ თამაშობდა!), რის ჩემპიონობა ან ჩემპიონთა ლიგა, უეფას თასიც კი სანატრელი გახდა. 1999 წლის 7 თებერვალს კი, როცა „იუვენტუსმა“ წააგო „პარმასთან“ – 2-4, ლიპიმ დაჰყარა ფარხმალი, სეზონის დამთავრებას არ მოუცადა და დაუყოვნებლივ დატოვა გუნდი.

მოხდა მართლაცდა საოცარი რამ: ყველაფერი ერთი ხელის მოსმით შეიცვალა: კარლო ანჩელოტიმ, როგორც კი ჩაიბარა გუნდი, არა მარტო აღადგინა კონტე ძირითად შემადგენლობაში, არამედ კაპიტნობაც დაუბრუნა. როგორც ამბობენ, ჩავიდა თუ არა ტურინში, ანჩელოტიმ ცალკე გაიხმო კონტე, გულწრფელად ესაუბრა და უთხრა, რომ მისი დახმარების იმედი აქვს. საერთოდ, ანჩელოტი მოთამაშეებისადმი თავისებური მიდგომით გამოირჩევა: შავ-თეთრ ფერებს ამჯობინებს, ფეხბურთელი ან მოსწონს (და შესაბამისად ეპყრობა!), ან არ აღიარებს მას. ეს ის კაცია, რომელმაც „პარმას“ მწვრთნელად მუშაობის დროს ფაქტობრივად აიძულა ჯანფრანკო ძოლა დაეტოვებინა გუნდი, მანვე აიძულა კლუბის ხელმძღვანელობა არავითარ შემთხვევაში არ მოეწვიათ რობერტო ბაჯო, აი კონტესთვის კი თავი გამოიდო.

როგორც კი ანჩელოტიმ პირველივე მატჩში „პიაჩენცას“ წინააღმდეგ შემადგენლობა გამოაცხადა, კონტე, ცხადია, მასში იყო კიდეც – 2-0. ასეთივე ანგარიშით მოუგო ერთი კვირის შემდეგ „იუვემ“ „ვიჩენცას“, ამასთან, ახალმა კაპიტანმა გოლიც გაიტანა. ამას მოჰყვა ჩინებული ბურთი „ოლიმპიაკოსის“ კარში ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, ასეთივე ლამაზი გოლი „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ნახევარფინალში!

კაცი, რომელმაც ლამის დაანება ფეხბურთს თავი, მიიწვია დინო ძოფმა იტალიის ნაკრებში, რომლისკენაც გზა თითქოს მას საბოლოოდ დავიწყებული ჰქონდა. უკანასკნელად ხომ კონტემ „სკუადრა აძურას“ შემადგენლობაში 1996 წელს პერუჯაში საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა. მაშინ ნაკრების მწვრთნელი არიგო საკი კონტეს ისეთივე პატივს სცემდა, როგორც ახლა კარლო ანჩელოტი. როგორც ცხადი გახდა, ძოფმა შემთხვევით როდი აღადგინა კონტე ნაკრებში (რომლის წინა მწვრთნელი ჩეზარე მალდინი ვეტერანს არასოდეს იწვევდა). დანიელებთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის უმნიშვნელოვანეს მატჩში, თანაც კოპენჰაგენში, კონტემ არა მარტო შესანიშნავად ითამაშა, არამედ გადამწყვეტი გოლიც გაიტანა – 2-1.

ამას ჰქვია „ფენიქსებრ განახლება“. ახლა, როცა „იუვენტუსი“ უკვე იტალიის ჩემპიონია, კონტეს ახალი უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაჭრა მოუხდება – ევროპის ჩემპიონატამდე ხომ აღარაფერი რჩება.

ბივი გამრეკელი

ჰაკან შუქური

როცა ჟურნალისტები ჩვეულებისამებრ დიდ ყურადღებას უთმობენ წამყვან ევროპელ ფეხბურთელებს, თურქებზე თითქმის არ ლაპარაკობენ. ერთის მხრივ, ეს თითქოს გასაგებიც არის, მეორე მხრივ კი თურქეთშიც არიან შესანიშნავი ოსტატები, მათ შორის დღეისათვის უძლიერესი ჰაკან შუქურია.

ჰაკან
შუქური

ჰაკან შუქური დაიბადა 1971 წლის 1 სექტემბერს, სტამბოლის დასავლეთით, პატარა ქალაქ საკარიაში. 16 წლისა უკვე კლუბ „საკარიასპორში“ გამოდიოდა, რომელიც თურქეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილეობდა. მოსული აღნაგობის ჭაბუკი კარგად თამაშობდა თავით, რაც თურქეთში, შეიძლება ითქვას, დიდი იშვიათობაა. 1990 წელს უკვე „ბურსასპორმა“ მიიწვია, შედარებით, ცხადია, უფრო სოლიდურმა კლუბმა. თურქეთში არის ერთი ტრადიცია: ყველა შესანიშნავმა ფეხბურთელმა, ადრე თუ გვიან, სტამბოლში უნდა მოიყაროს თავი. ეს გასაგებიცაა: კონსტანტინე დიდის ქალაქი თუ თურქეთის ადმინისტრაციული ცენტრი არ არის, კულტურის, გნებავთ ეკონომიკის სფეროში მთავარ როლს ასრულებს. საუკეთესო სპორტსმენების კონცენტრაციაც სწორედ იქ ხდება და არა ანკარაში.

ეს გზა ჰაკან შუქურმაც გაიარა: 1992 წელს „გალათასარაიში“ ჩაირიცხა. აქ მან დიდი ყურადღება მიიქცია, სწრაფად გახდა წამყვანი მოთამაშე და 1995 წლის ზაფხულში „ტორინომ“ მიიწვია. იტალიურ ლიგაში თამაში, ცხადია, დიდი პატივია, მაგრამ შუქური ძალიან მალე მიხვდა, რომ მძიმე შეცდომა დაუშვა, სულ სამ თვეში დარწმუნდა: მტკიცედ დამკვიდრდა სათადარიგოთა სკამზე, სულ 5 მატჩი ითამაშა და 1 გოლი გაიტანა. ეს კი იმ „კაპიტალის“ განიავებას ნიშნავდა, რაც დააგროვა. ამიტომ მისთვის შეუფერებელ იტალიურ კლუბს გამოეთხოვა, ისევ „გალათასარაის“ დაუბრუნდა, რასაც სულაც არ ნანობს. ამ დროიდან მოყოლებული, ვინც არ უნდა შესთავაზოს გადასვლა, რა თანხებზეც არ უნდა იყოს ლაპარაკი, შუქური უარს ამბობს, თუმცა კი, ისე ცოტა ძნელიც უნდა ყოფილიყო „იუვენტუსის“ ემისრების ხელცარიელი გასტუმრება. „ბებერი ქალბატონის“ მწვრთნელები ხომ თურქ ფეხბურთელს იმ დროიდან ადევნებდნენ თვალს, როცა იგი მათ ქალაქში „ტორინოში“ თამაშობდა.

თუ შუქურის საფეხბურთო კარიერა მისთვის სასურველად ვითარდება, ცხოვრებაში მან უკვე გადაიტანა დიდი ტრაგედია. ეს იყო უძლიერესი მიწისძვრა, რომლის ეპიცენტრში სწორედ ქალაქი საკარია მოექცა, სადაც ფეხბურთელს ოჯახი და ნათესაობა ჰყავს. სწორედ იმ დროს თურქეთის ნაკრები სკანდინავიაში იმყოფებოდა. შეშფოთებული შუქური მობილურ ტელეფონს არ იშორებდა, ნაკრებმა კი ტურნე შეწყვიტა და შინ დაბრუნდა.

ჰაკან შუქური წლევანდელ სეზონს დიდი აღმავლობით ატარებს. ასპარეზი, იცოცხლეთ, აქვს. თურქეთის ნაკრებმა, რომლის წამყვანი ფეხბურთელიცაა, შესანიშნავად ითამაშა ევროპის პირველობის შესარჩევ ჯგუფში, გერმანელებთან ერთადერთი და გადამწყვეტი გოლი სწორედ შუქურმა გაიტანა, თავი გამოიჩინა მოლდაველებთან, სადაც ორი გოლიდან ერთი მას ეკუთვნოდა, ფინელებთან კი (4-2) უკვე ორი ბურთი გაიტანა. შემდეგ ის იყო, რომ ირლანდიელებთან „პლეი-ოფში“ თურქებმა უპირატესობა მოიპოვეს და ევროპის პირველობის ფინალში გასვლის უფლებაც.

რაც შეეხება „გალათასარაის“, იგი, როგორც ჩანს, კიდევ ერთხელ გახდება თურქეთის ჩემპიონი, უეფას თასზე კი დიდი წარმატებები აქვს. იგი უკვე გავიდა ამ შეჯიბრების ფინალში და 17 მაისს კოპენჰაგენში ლონდონის „არსენალს“ უნდა შეხვდეს. როგორც არ უნდა დამთავრდეს მატჩი, თურქების წარმატება უკვე უდავო ფაქტია — ამ ქვეყნის კლუბი ჯერ არასოდეს ყოფილა ევროპული სათასო ტურნირის ფინალში. შეიძლება იმის თქმაც — ჰაკან შუქური და მისი ნაირ-ნაირი გოლები რომ არა, „გალათასარაი“ ასეთ შედეგს ვერ მიაღწევდა. მარტო „ლიდს იუნაიტედთან“ ორი მძაფრი მატჩი რად ღირდა.

როგორ თამაშობს თურქეთის №1 ფეხბურთელი? არ შეიძლება ითქვას, რომ მას რაღაც თვალწარმტაცი დრიბლინგი აქვს. არც მაინცდამაინც ძლიერი დარტყმითა თუ ეშმაკურად შესრულებული საჯარიმოებით დაიტრაბახებს. მისი სტიქიაა კარის სიახლოვეს თამაში, როცა „ბადრაგად“ ორი, ან სულაც სამი მცველი ჰყავს. ჰაკანს ძალზე განვითარებული აქვს საგოლე გრძნობა, როცა პარტნიორები ბურთს ჩამოაწოდებენ, შეუძლია დაასწროს მცველებს, ბურთი კარში ფეხით ან თავით გადაგზავნოს. როცა მეკარე ბურთს ხელში ვერ იღებს და ძლიერი დარტყმის შემდეგ მას მხოლოდ იგერიებს, უნდა შიშობდეს — შეიძლება თურქი ცენტრფორვარდი, რომ იტყვიან, მიწიდან ამოძვრეს. ასეც ხდება: ჰაკან შუქური თითქმის ყველა ორთაბრძოლას აგებს, როცა რაღაც ხასიათზე არ არის, მაგრამ მცველს შეცდომას მაინც არ აპატიებს. რამდენჯერ გაუტანია მას ასეთი გოლი. კიდევ ერთი რამ: თუ ჰაკანმა თამაშის დასაწყისშივე მიაღწია წარმატებას, ვთქვათ, გახსნა ანგარიში, მაშინ უკვე ძნელად შესაჩერებელი ხდება.

ჰაკანზე ძალზე მოქმედებს ტრიბუნების მხარდაჭერა. ეს მხარდაჭერა კი თურქებს აქვთ არა მარტო საკუთარ სტადიონებზე, სადაც უამრავი მაყურებელი მიდის, არამედ საზღვარგარეთაც. ახლა ხომ რამდენიმე მილიონი თურქი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობს. ცოტა არ იყოს, კურიოზული ფაქტია: როცა ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირის საპასუხო მატჩში გერმანელები თურქებს მასპინძლობდნენ, სტადიონზე თურქი მაყურებლების რიცხვი გერმანელებისას აღემატებოდა!

როცა მატჩის დაწყების წინ თურქი გულშემატკივრები მოთამაშეების გვარების სკანდირებას იწყებენ, ჰაკან შუქური შორიდან ხელის აწევით, მისალმებით არ კმაყოფილდება, ახლოს მიდის ტრიბუნებთან და პირდება კიდეც, რომ გაამართლებს მათ იმედს. შემდეგ ელაპარაკება ინვალიდების ჯგუფს, რომლებიც პატარა მოძრავ ეტლებში სხედან, ხელს ართმევს მათ...

რა თქმა უნდა, ჰაკან შუქურის კლასის სნაიპერი თურქეთში ხომ არ არის და არ არის, ასე გასინჯეთ, ევროპაშიც ცოტაა. იმის მიუხედავად, რომ ფეხბურთელი აცხადებს, თითქოს არავითარ შემთხვევაში არ სურს „გალათასარაის“ დატოვება, ამ ბოლო ხანს სტამბოლში მოუხშირეს სხვადასხვა ევროპული კლუბების ემისრებმა. შეიძლება შეპირებული თანხები ისეთი დიდი იყოს, რომ „გალათასარაიმ“ ცდუნებას ვერ გაუძლოს. თუ ეს მოლაპარაკება ჰაკანის გაყიდვის შესახებ მაინც შედგა, მანამდე კიდევ რჩება საკმაო დრო. წინ კი უეფას თასის ფინალი და ევროპის ჩემპიონატის დამაგვირგვინებელი ნაწილია.

ბივი თორელი

ჰაჯი თავისივე სახელობის სტადიონზე ითამაშებს!

რუმინეთის სპორტის მინისტრ კრინ ანტონესკუს განკარგულებით ქ. კონსტანცას სტადიონს, სადაც კლუბი „ფარული“ თამაშობს, ამიერიდან „გეორგე ჰაჯის სახელობის სტადიონი“ ეწოდება.

საქმე ის არის, რომ სწორედ ამ ზღვისპირა ქალაქში დაიბადა და გაიზარდა რუმინეთის ფეხბურთის ვარსკვლავი გეორგე ჰაჯი, რომელიც ახლა სტამბოლის „გალათასარაიში“ თამაშობს. ისე რომ, თვით ჰაჯისაც ექნება საშუალება თავისი სახელობის სტადიონზე ითამაშოს.

ნახევარფინალში...

ჩატარდა რუსეთის 2000 წლის თასის გათამაშების ნახევარფინალის წილისყრა.

3 მაისს ელისტის „ურალანი“ მოსკოვის „ლოკომოტივს“ მიიღებს, 4 მაისს კი ცსკა მოსკოვის „სპარტაკს“ უმასპინძლებს.

ამხანაგური მატჩები

რუსეთი — აშშ 2-0
გოლები: ტიტოვი, 63. კარპინი 90.
ბულგარეთი — უკრაინა 0-1
გოლი: შევჩენკო, 54
რუმინეთი — კვიპროსი 2-0
გოლები: მუტუ, 58. განეა, 80-პენ.
დანია — შვედეთი 0-1
გოლი: პეტერსონი, 37.
ნორვეგია — ბელგია 0-2
გოლები: ვერხეიენი, 55, 90.
პოლონეთი — ფინეთი 0-0
ლუქსემბურგი — ესტონეთი 1-1
გოლები: ოპერი, 83 (0-1). ვანეკი, 90 (1-1).
ჩეხეთი — ისრაელი 4-1
გოლები: ნედვედი, 14 (1-0). კოლერი, 37 (2-0). ნედვედი, 57 (3-0). ბერკოვიჩი, 81 (3-1). ვაგნერი, 90 (4-1).
ავსტრია — ხორვატია 1-2
გოლები: ვასტიჩი, 17 (1-0). ფლოგელი, 28 საკ. კარში (1-1). სტანიჩი, 66 (1-2).
გერმანია — შვეიცარია 1-1
გოლები: იაკინი, 33 (0-1). კირსტენი, 84 (1-1).
ირლანდია — საბერძნეთი 0-1
გოლი: ლაკისი 17.
საფრანგეთი — სლოვენია 3-2
გოლები: ნოვაკი, 3 (0-1). უდოვიჩი, 9 (0-2). ტრეზეგე, 62 (1-2). ბლანი, 78 (2-2). ტრეზეგე, 90 (3-2).
ჰოლანდია — შოტლანდია 0-0
იტალია — პორტუგალია 2-0
გოლები: ფ. ინძაგი, 75. ტოტი, 88.
ჩრ. ირლანდია — უნგრეთი 0-1
გოლი: ხორვატი 61.
ანდორა — ბელარუსი 2-0
გოლები: ლუსენდო, 56-პენ. სანჩესი, 62.
ლიხტენშტეინი — ფარერები 0-1
გოლი: არგე, 71.
სამხ. კორეა — იაპონია 1-0
გოლი: ჰა სუკ ჯო,. 78.

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

სამხრეთ ამერიკა

II ტური

ბრაზილია — ეკვადორი 3-2
ვენესუელა — არგენტინა — 0-4
ჩილე — პერუ 1-1
პარაგვაი — ურუგვაი 1-0
ბოლივია — კოლუმბია 1-1

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
არგენტინა	2	2	0	0	8-1	6
პერუ	2	1	1	0	3-1	4
ბრაზილია	2	1	1	0	3-2	4
ეკვადორი	2	1	0	1	4-3	3
ურუგვაი	2	1	0	1	1-1	3
პარაგვაი	2	1	0	1	1-2	3
კოლუმბია	2	0	2	0	1-1	2
ბოლივია	2	0	1	1	1-2	1
ჩილე	2	0	1	1	2-5	1
ვენესუელა	2	0	0	2	0-6	0

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი ●
ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი
ექვსეული. IX ტური

სტუ — აზოტი 67:63

სტუ: კორძაძე (11 ქულა), თორთლაძე (10).
აზოტი: გოგობერიშვილი (32).

ბასკო — ვითა 89:67

ბასკო: ბეჟანიშვილი, დავითულიანი (20-20)
ვითა: ახალკაცი (20), გაგნიძე (17)

სდასუ — მაკაბი 75:68

სდასუ: გ. ნაცვლიშვილი (28), ხოშტარია (16)
მაკაბი: შენგელია (26), თ. ბერიშვილი (12).

ქართული კალათბურთის ფლაგმანი ვითა წლეულს უგვირგვინოდ დარჩება. ბოლო ტური მისთვის ფორმალობა იქნება მხოლოდ. იგივე ითქმის სხვა გუნდებზეც, გარდა სტუ-სა და აზოტისა. მათ შორის ინტრიგა იმაშია, რომ მეორე ადგილზე გასული გუნდი გადამწყვეტ პლეი-ოფურ მატჩში მოედნის უპირატესობას მიიღებს. ჰოდა, სტუ-აზოტის ბრძოლაც რომ დაძაბული იქნებოდა, რაღა მისახვედრია. პირველ ტაიმში უმეტესად „აზოტს" მიჰყავდა ანგარიში. ერთი ხანობა რვა ქულასაც იგებდნენ, მაგრამ ბოლო ორწუთიან მონაკვეთში ეს ჰანდიკაპი სრულიად გააბათილეს სტუდენტებმა და პირველი ნახევარიც ფრედ 32:32 დასრულდა.

მეორე ტაიმში ქულა-ქულაზე წავიდა თამაში. რუსთაველთა რიგებში, როგორც ყოველთვის, შეუჩერებელი იყო რამაზ გოგობერიშვილი. იგი მეტწილად ინდივიდუალურად გადიოდა ფონს. აი, სტუ-მ კი შეხვედრის მიწურულს იძალა და თორთლაძის საჯარიმოებმა ტაბლოზე მისი 4-ქულიანი უპირატესობა გამოხატა. სტუ-მ ექვსეულის პირველ წრეშიც დაამარცხა ოთარ ხმელიძის გუნდი და ამრიგად, თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობას (მეორე ადგილოსნობას) მიიღებს.

სდასუ-ს ჰაერივით სჭირდებოდა „მაკაბისთან" მოგება და უნდა ითქვას, რომ საწყის წუთებში 21:2 წაიყვანა ანგარიში. აქ ათამაშდა „მაკაბი" და მისი ლიდერი კახაბერ შენგელია და ეს ჩამორჩენა ნელ-ნელა გაიცამტვერა შესვენების შემდეგ, ბოლო წუთებში ყველაფერი თავიდან დაიწყო, მაგრამ „სდასუ" აშკარად ძლიერი იყო მეტოქეზე. აქ საუკეთესო იყო გიგა ნაცვლიშვილი.

„სდასუს" გამარჯვებამ, პირველ ყოვლისა, „ვითა" დააყენა საფრთხის წინაშე. მას უკვე, აუცილებელი მოგება ესაჭიროებოდა თვით „ბასკოსთან", მაგრამ საკუთარი გულშემატკივრების წინაშე ზურაბ ტომარაძის გუნდი სულაც არ აპირებდა არაფრისდამკარგავ დამარცხებას. სიტყვამ მოიტანა და ზღვისპირეთში მართლაც იდეალური პირობები იყო შექმნილი. არც იმდენი აყალმაყალი და გაწევ-გამოწევა გვიხილია, რამდენიც ვერის პარკში არის ხოლმე. ჰოდა, „ბასკოს" თბილისშიც ვერ აჩერებენ და ბათუმში რაღა იქნებოდა. „ვითა", უბრალოდ, ხავსს ეჭიდებოდა, მაგრამ „ბასკომ" თავისი მთავარი კოზირი — „გრძელი სკამი" გამოიყენა და მართალია, ერთი ხანობა გაუჭირდა, მაინც შთამბეჭდავად, 22 ქულით გაიმარჯვა.

მაშ ასე, ექვსეულის ბოლო ტურს მხოლოდ „აზოტისთვის" და „სტუს"-თვისღა აქვს მნიშვნელობა. ოთხი საუკეთესო კი გაირკვა. „ბასკო" უეჭველად ფავორიტი იქნება „სდასუსთან" და თბილისელთა მწვრთნელ ლევან მოსეშვილს ალბათ ახლავე დიდი ჯაფა ადგას. როგორ შეაჩერონ ბათუმელები? აი, მეორე წყვილში კი, ალბათ დიდად სასეირო შეხვედრები გველის. მართალია, სტუ ოდნავ უფრო მობილურ გუნდად გვეჩვენება, მაგრამ ეს, ოდნავ... და მეტი არაფერი.

ილია ნანობაშვილი

კრივი საქალაქთაშორისო ტურნირი

კარგად დაიხსომეთ გურჯაანელები...

კრივი, ჩვენში საქალაქთაშორისო შეხვედრების ტრადიციას იბრუნებს. ამის დასტური იყო ამ დღეებში თბილისში, ჯ. ცერცვაძის სახელობის სპორტულ დარბაზში გამართული ასპარეზობა, რომელშიაც თბილისის, რუსთავის, გურჯაანის და ლაგოდეხის სხვადასხვა ასაკის მოკრივეებმა მოსინჯეს თავიანთი ძალები. საოცარი მიზანსწრაფვა და ჟინი გამოავლინეს გურჯაანელებმა, რაც მისასალმებელია. იქაური 11 მოკრივე ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, ერთით ნაკლები გამარჯვებული ჰყავდათ თბილისელებს, რუსთაველებიდან 7 იყო უძლიერესი, ლაგოდეხიდან — 2.

ცხადია, დავინტერესდით გურჯაანში კრივის ხელშემწყობი პირობებით. აი რა გვითხრა იქაურმა მწვრთნელმა, ამ ტურნირის მთავარმა მსაჯმა როინ ყოჩიშვილმა: „დღეს გურჯაანს არაერთი საქართველოს ჩემპიონი და ქვეყნის ნაკრების წევრი ჰყავს სხვადასხვა ასაკში". ძალიან გვიწყობს ხელს ადგილობრივი გამგეობა, რკინიგზის კულტურულ-სპორტულ კომპლექსში კი უფასოდ დაგვითმეს დარბაზი, გვაქვს ინვენტარი, კომპლექსის დირექტორი გვპირდება, რომ რინგსაც გავმართავთ დარბაზში. გვეხმარებიან ცალკეული ორგანიზაციები. მალე ალბათ მოკრივეთათვის ფორმის შეძენის საკითხსაც მოვაგვარებთ. სწორედ გურჯაანელთა საერთო ყურადღებისა და დახმარების შედეგი იყო, რომ პიატიგორსკში ბორის სავინის ხსოვნის ტურნირში ჩვენგან უძლიერესები იყვნენ ზაზა ლაზაშვილი (59 კგ) და აბო ქათამაშვილი (71). ზაზამ საუკეთესო მოკრივის პრიზი დაიმსახურა, აბომ კი მთავარი ჯილდო — სავინის პრიზი მოიგო (სავინი სწორედ 71 კგ წონაში ასპარეზობდა).

რობერტ ყარსელი

რ. ბაგოიანის ფოტო

კასპაროვი — კრამნიკი


კრამნიკი


კასპაროვი

მრავალი კითხვა კრამნიკს

მას შემდეგ, რაც ვიშვანათან ანანდმა გარი კასპაროვთან თამაშზე უარი განაცხადა, მსოფლიო ჩემპიონობის ერთადერთი პრეტენდენტი გახდა ვლადიმირ კრამნიკი და მან მოაწერა კიდევაც ხელი სათანადო კონტრაქტს. მისი მატჩი კასპაროვთან 7 ოქტომბერს ლონდონში დაიწყება. კრამნიკს, გულშემატკივრებმა ტელეფონით მრავალი შეკითხვა მისცეს.

● ***როგორ ფიქრობთ, ჭადრაკი სპორტია თუ ხელოვნება?***

— ჭადრაკში ერთმანეთს საკმაოდ ორგანულად ერწყმის ერთისა და მეორის ელემენტები.

● ***თუ ეს სპორტია, ამასთან, მაღალი მიღწევების, მაშინ რატომ არ ანებებს ბევრი დიდი მოჭადრაკე თავს თამაშს?***

— რატომ ბევრი?! მგონი მხოლოდ მე ვეწევი, ყველა დანარჩენმა უკვე დაანება თავი. მეორე მხრივ, ჭადრაკი ხომ სირბილი არ არის, აქ თამბაქო ისე არ ავნებს კაცს, როგორც სპორტის სხვა სახეობაში. ამის მიუხედავად, უახლოეს დღეებშივე დავანებებ თავს მოწევას.

● ***ცნობილია, რომ გარი კასპაროვი ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს ფიზიკურ მომზადებას, დარბის კროსებს, ტრენაჟორებზე ვარჯიშობს. თქვენ როგორ ყურადღებას უთმობთ ვარჯიშს?***

— საკმაოდ ბევრს. ვთამაშობ ჩოგბურთს, ზოგჯერ დავრბივარ, ვცურავ, ფეხბურთსაც ვთამაშობ მოჭადრაკეებთან.

● ***ჩემი ძმისწული 7 წლისაა. როგორ დავაინტერესოთ ჭადრაკით?***

— უყიდეთ კარგი წიგნები, შეიძლება ვიდეოკასეტებიც. აუცილებლად დაინტერესდება.

● ***შევიტყვეთ, რომ მატჩს ითამაშებთ მსოფლიო პირველობაზე BIN-ის ვერსიით. ეს გახლავთ საერთაშორისო კომპანია, რომელიც ინტელექტუალურ თამაშებს უწევს პროპაგანდას. ჩვენთან, რუსეთში დაიბადა ახალი თამაში — კინგჩესი, სამეფო ჭადრაკი, რომლის ერთ-ერთი ღირსება ისიცაა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია მისი კომპიუტერიზება. სამწუხაროდ, არც კარპოვმა და არც კასპაროვმა მისდამი ინტერესი არ გამოავლინა, თუმცა მოსკოვში უკვე ჩატარდა პირველი ჩემპიონატები, მოეწყო მატჩი „მოსკოვი-ზელენოგრადი". ამასთან, დიდოსტატებმა, სუეტინმა და ზაიცევმა კინგჩესს მეტად მაღალი შეფასება მისცეს. საფრანგეთში გაზაფხულზე და შემოდგომაზე ტარდება ინტელექტუალური თამაშების ფესტივალები. რატომ არ უნდა გაკეთდეს იგივე მოსკოვში თქვენი ხელმძღვანელობით, როცა მსოფლიო ჩემპიონი გახდებით, ეს ჩვენ არ გვაეჭვებს.***

— ჯერ ის ხომ უნდა ვიცოდე, რა არის ეს კინგჩესი?

● ***ყველა საჭადრაკო ფიგურა მონაწილეობს, მაგრამ დასაწყისში ჭადრაკის დაფაზე კი არაა განლაგებული, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, რეზერვშია. მეტოქეები მორიგეობით ატარებენ ორ ასეთ ოპერაციას: ან უკვე აწყობენ დაფის საკუთარ ნახევარზე ფიგურების ნებისმიერ რაოდენობას, ან უკვე დადებული ფიგურით ჩვეულებრივ საჭადრაკო სვლას აკეთებენ. — ეს საკმაოდ საინტერესოა.***

როცა მატჩში კასპაროვს დაამარცხებთ, ძალიან საინტერესო იქნება თქვენთან შეხვედრა.

— კეთილი სურვილებისათვის მადლობას მოგახსენებთ.

● ***კასპაროვის საიტში წავიკითხე, რომ რუსეთის ქალთა ნაკრების წევრები ძლიერ უკმაყოფილონი არიან რუსეთის საჭადრაკო ფედერაციის დამოკიდებულებით მათი პრობლემებისადმი. ისინი დახმარებას მოითხოვენ. როგორია თქვენი აზრი ამ საკითხზე?***

— ამ ფედერაციისადმი სერიოზული პრეტენზიები მარტო ქალთა ნაკრებს კი არა, რუსეთის ვაჟთა ნაკრებსაც აქვს. სიტუაცია საკმაოდ კრიტიკულია.

● ***გაზეთები წერდნენ, რომ ელისტის საერთაშორისო ოლიმპიადაზე გამარჯვების შემდეგ ნაკრები გუნდის წევრებს საპრიზო თანხა არ მიუღიათ.***

— დიახ, ეს ასე იყო. ამიტომაც არის, რომ ახლა ისინი უარს ამბობენ ითამაშონ შეჯიბრებებში რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში. ევროპის პირველობაზე ბათუმში ფაქტობრივად ნაკრები თავისი მესამე შემადგენლობით მონაწილეობდა. ამის შედეგად ნაკრები სამეულშიც კი ვერ მოხვდა, თუმცა ადრე მოიგო ყველა შეჯიბრება, სადაც კი მონაწილეობდა. ეს საკითხი უახლოეს ხანებში უნდა გადაწყდეს საჭადრაკო საზოგადოებრიობის ძალისხმევით.

● ***გასაგებია, რომ წამყვანი დიდოსტატები საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობისათვის კარგ ჰონორარს იღებენ, ფედერაციას მთავარი სპონსორიც კი არა ჰყავს. ეს გასაოცარია: ჭადრაკზე ბევრს წერენ, სპონსორებს კი რეკლამა სჭირდებათ, სადაც რაიმე ფირმა ან ფონდი იქნება ნახსენები...***

— ჩვენ ოლიმპიადებში მონაწილეობისათვის საერთოდ არაფერს ვიღებთ, არც კასპაროვი, არც მე. ვიღებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირველ ადგილზე გამოვდივართ. ამის მიუხედავად, რაღაც განსაკუთრებულ ჰონორარს არ ვითხოვთ. გამარჯვების შემთხვევაში კი, ცხადია, შეიძლება თანხების გამონახვა. ის, რაც მოხდა, ფედერაციის უხეირო მუშაობის შედეგია.

● ***რუსეთში ხომ ამდენი მოჭადრა-***

იხ. მე-8 გვ.



საქართველოს რეკორდები მძლეოსნობაში



ვაჟები

რბენა 3000 მეტრზე დაბრკოლებებით

აღსანიშნავია, რომ 3000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენა რესპუბლიკაში კვლავინდებურად ჩამორჩენილ სახეობად ითვლება. საქართველოს ჩემპიონატებში მონაწილეთა მცირერიცხოვნება (1-2 სპორტსმენი) იმითაც არის განპირობებული, რომ საშეჯიბრო მოწყობილობანი თბილისის ბ. პაიჭაძის სახელობის სტადიონის გარდა, არც ერთ ქალაქში არ არის. ამას ისიც ემატება, რომ ამჟამად ამ სახეობაში რესპუბლიკაში არც ერთი საწვრთნო ჯგუფი არ მუშაობს.

საქართველოს რეკორდების ზრდა 3000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში

1.	არტაშეს მიქოიანი	თბ.„ლოკომოტივი"	9.37,6	1973
2.	სერგეი სკრიპკა	თბ. ასკ	6.28,0	1977

ამანათრბენი 4X100, 4X200 და 4X400 მეტრზე

ამანათრბენში 4X100 მეტრზე 1965-1983 წლებში 3-ჯერ გაუმჯობესდა რესპუბლიკის რეკორდი და 1983 წელს 1958 წელთან შედარებით 1 წუთით გაიზარდა. ამჟამად იგი 40,40-ს უდრის. რეკორდსმენთა შორის ვხვდებით რ. მამალაძეს, ა. ანტონოვს, გ. ბალაშვილს, თ. ჩიტაძეს, ვ. ივანოვს, ბ. მექვაბიშვილს.

4X400 მეტრზე ამანათრბენში 1956 წელს დამყარებული რეკორდი 6,4 წამით გაუმჯობესდა და დღეს იგი 3.10.8-ს უდრის. ეს რეკორდი დამყარებულია 1967 წელს. რეკორდსმენები კი არიან ტ. ბახტაძე, ა. ანდრეევი, ჯ. სხულუხია, პ. ნაგორნი, ი. კოზელსკი, ზ. სარქისიანი.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია საქართველოს რეკორდების ზრდა 4X100, 4X200 და 4X400 მ. ამანათრბენში *(ცხრილი 7)*.

ცხრილი 7

ამანათრბენი 4X100 მეტრზე			
რ. მამალაძე, ი. კოზელსკი, ტ. ბახტაძე, ა. ანტონოვი	საქართველოს ნაკრები	40,8	1965
გ. ბალაშვილი, თ. ჩიტაძე, ვ. ივანოვი, ბ. მექვაბიშვილი	საქართველოს ნაკრები	40,6	1979
გ. ბალაშვილი, თ. ჩიტაძე, ბ. მექვაბიშვილი, ვ. ივანოვი	საქართველოს ნაკრები	40,40	1979
ამანათრბენი 4X200 მეტრზე			
ლ. სანაძე, რ. ტრაპაიძე, ნ. კლუევი, ნ. ბაკრიაშევი	საქართველოს ნაკრები	1.29,0	1966
ა. ანტონოვი, ა. ანდრეევი, ვ. სევასტიანოვი, ტ. ბახტაძე	საქართველოს ნაკრები	1.26,7	1967
ამანათრბენი 4X400 მეტრზე			
ტ. ბახტაძე, ა. ანდრეევი, ჯ. სხულუხია, ბ. ნაგორნი	საქართველოს ნაკრები	3.15,3	1963
ი. კოზელსკი, ჯ. სხულუხია, ა. ანდრეევი, ტ. ბახტაძე	საქართველოს ნაკრები	3.15,2	1965
ზ. სარქისიანი, ა. ანდრეევი, ი. კოზელსკი, ტ. ბახტაძე	საქართველოს ნაკრები	3.10,8	1967
ამანათრბენი 4X800 მეტრზე			
ვ. შულგინი, ა. კორნეიჩუკი, ი. ლოგუნოვი, ი. ზეინან-ოღლი	თბილისის ნაკრები	7.36,2	1966
ამანათრბენი 4X1500 მეტრზე			
ა. უროვსკი, ნ. დავიდენკო, ი. ცანავა. ი. სოვეტკინი	თბილისის ნაკრები	16.35,2	1966

გაგრძელება იქნება. დასაწყისი იხ. „ლელო" №29-33

ლევან სანაძე ასპარეზობისას

ნბა

1/8 ფინალი

(მატჩები 3 მოგებამდე)

24 აპრილი: შარლოტი — ფილადელფია 108:98 (დ.დ.) (შეხვედრის ანგარიშია 1:1); იუტა — სიეტლი 101:87 (ანგარიშია 2-0).
25 აპრილი: მაიამი — დეტროიტი 84:82 (ანგარიშია 2:0); სან-ანტონიო — ფინიქსი 85:70 (ანგარიშია 1-1).
26 აპრილი: ნიუ იორკი — ტორონტო 84:83 (ანგარიშია 2:0); პორტლენდი— მინესოტა 86:82 (ანგარიშია 2-0).

ფორმულა-1

ცხარე ბრძოლა „სტოუნის" ცივ ტრასაზე

კვლავ „დიდი ბრიტანეთის გრან-პრის" შესახებ

„ლელოს" წინა ნომერში მკითხველმა გაიცნო მსოფლიო პირველობის ამ ეტაპის გამარჯვებული, მაგრამ ამ რბოლაზე კვლავ ღირს ლაპარაკი, ვინაიდან მას რამდენიმე კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი. პირველი ის იყო, რომ დაალწევდა თუ არა თავს ამ ტრასის სინდრომს შუმახერი, მეორეც „მაკლარენისა" და „ფერარის" გუნდები, რომ წაბორძიკებულიყვნენ, დანარჩენ გუნდებს გაუჩნდებოდათ შანსი, დაბოლოს ივნისში ჩასატარებელი ბრიტანეთის ეტაპის აპრილში გადმოტანა შუმახერის თქმით, ძალზე ცივ დღეებს დაემთხვა, ამიტომაც ჰაკინენისა და კულტჰარდის გარდა, ჩვენ ამინდსაც უნდა შევებრძოლოთ...

და მართლაც, როგორც იცით, ყველაზე მეტად შოტლანდიელ კულტჰარდს გაუმართლა. სხვათა შორის, დევიდს არაერთგზის განუცხადებია: „კარგა ხანია გავიზარდე და „მუდმივად მეორის" როლი არ შემშვენის". ამის პასუხად ირლანდიელ ირვინს განუცხადებია — იგი ყოველი სეზონის დასაწყისში ამბობს, რომ ჩემპიონატის მოგება სურს, მაგრამ სიტყვა სიტყვად რჩება...

შოტლანდიელის ოპტიმიზმს ის ამართლებდა, რომ სილვერსტოუნზე შარშანდელი წარმატების გამეორების დიდი იმედი უნდა ჰქონოდა.



როგორც ხედავთ, „ფორმულა-1"-ის განვლილი ეტაპები ერთმანეთს არ ჰგავს და ჩემპიონატში ინტრიგა სულ უფრო მატულობს. ეს კი, რა თქმა უნდა, შემდგომ ეტაპებს უფრო დაძაბულსა და გამოუცნობელს ხდის.

რა ხდება ქვეყანაზე

რინგზე — სუპერმოკრივეების ასულები

ისე კი, არა გვგონია, მათ შეხვედრებს რინგზე, ინტრიგა აკლდეს, და ნაკლებ ინტერესს იჩენდეს მაყურებელი... იქნებ მეტსაც, ვიდრე მათი მამების ბრძოლების მიმართ ჰქონდა.

ლაილა ალი (მარცხნივ) ერთ-ერთი ბრძოლის დროს

1964 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ჯო ფრეზერი სამჯერ შეხვდა პროფესიულ რინგზე მუჰამედ ალის და ორჯერ დამარცხებულმა დატოვა რინგი. ახლა 38 წლის მის ქალიშვილს ჯეკი ფრეზერს, პროფესიით იურისტსა და სამი შვილის დედას, გადაწყვეტილი აქვს რევანშის აღება მამის დამარცხებისათვის, სურს ნოკაუტით სძლიოს ალის ლაილას. „მას რინგზე დავცემ," — დაუქადნია ჯეკის, და დეკემბრიდან მამის კვალს გაჰყოლია. ამ ხნის განმავლობაში გაიმარჯვა სამ ბრძოლაში, რისთვისაც დიდი ძალა არ დასდგომია. ბოლო შეხვედრა ფრეზერმა ამას წინათ მოუგო ვ. გემბლს ნოკაუტით.

რაც შეეხება ლაილა ალის, იგი უარს არ არის რინგზე შეხვდეს ჯეკის, თუმცა მასზე 17 წლით უფროსია. მას რინგზე ბრძოლის უფრო მდიდარი გამოცდილება აქვს. შარშან, ოქტომბერში დებიუტის შემდეგ ხუთი ბრძოლა გამართა და ხუთივეში იმედის ნატამალიც არ დაუტოვა მეტოქეებს — დროზე ადრე დაამთავრა შეხვედრები. კრივის სპეციალისტთა უმეტესობა მაინც სკეპტიკურადაა განწყობილი ქალთა კრივის პერსპექტივის მიმართ, თვით ოქტომბრის ამ მატჩის ორგანიზატორებს მიაჩნიათ, დიდი მამების საქმის გამგრძელებლები კი არა, მხოლოდ ორი ცნობილი გვარი იქნება სარბიელზე, რასაც დიდი თანხის მიღების „სუნი" ასდის.

ჯეკი ფრეზერი

ამასობაში კიდევ ერთი ცნობილი მამიკოს ქალიშვილი გამოჩნდა, რომელსაც აგრეთვე ლაილასთან რევანშის აღების სურვილი აქვს. ლაპარაკია 23 წლის ცნობილ მძიმეწონოსან ჯორჯ ფორმენის ქალიშვილ ფრიდაზე. ისიც საბრძოლველად იწვევს ლ. ალის და არ მალავს, რომ მას ანგარიში უნდა გაუსწოროს 1974 წლის ოქტომბერში აფრიკის ქალაქ კინშასაში მუხამედ ალიმ მამამისს ჩემპიონის ტიტული რომ დაათმობინა, სწორედ იმ გამარჯვების შემდეგ ალიმ თავის თავს „ყველაზე დიდი" უწოდა. საინტერესო ისაა, რომ ფრიდამ „შურისგების გეგმის" ხორცშესხმა თავის სადებიუტო ორთაბრძოლაში მოისურვა, რომლის თარიღად 1 აპრილი დასახელდა, მაგრამ შემდეგ ფრიდას ავადმყოფობის მიზეზით გადაიდო.

შესაძლოა ამ ბრძოლის გადადება ფორმენის ავადმყოფობის გამო კი არა, სხვა რამის გამოა. ფრიდას ძალიან სჭირდება წარმატებითი რომ იყოს მისი სტარტი და იმისათვის, რომ ლაილას ბრძოლა ფრეზერის შვილთან ფინანსური თვალსაზრისით წარმატებული გამოდგეს, არც ერთმა და არც მეორემ მანამდე, არავითარ შემთხვევაში არ უნდა წააგოს. ასე მზადდება დიდი აჟიოტაჟი ამ მატჩზე.

როგორც ჩანს, ერთადერთნი, რომლებიც მაინცდამაინც დიდად აღფრთოვანებულნი არ არიან ლაილასა და ჯეკის მოსალოდნელი შეხვედრით, მათი მამები არიან. ორივეს, პირველ ყოვლისა, თავიანთი შვილების ჯანმრთელობა ადარდებთ. ორივე მიიჩნევს, რომ „კრივი ქალების საქმე არ არის".

კასპაროვი — კრამნიკი

(მეშვიდე გვერდიდან)

კეა! განა ძნელია ენთუზიასტების მოძებნა, რომლებსაც უყვართ ჭადრაკი და დაეხმარებოდნენ მას ფინანსური თვალსაზრისით? ეს, უბრალოდ, ხელმძღვანელობის ინერციაა.

— შესაძლებელია. ყოველ შემთხვევაში, მე დახმარებას ვაპირებ ამ საკითხის გადაწყვეტაში.

● ***როცა ნოკაუტ-სისტემა შემოიღო, ამით კირსან ილიუმჟინოვი საჭადრაკო სამყაროს გაერთიანებას აპირებდა, მაგრამ, ფაქტობრივად, მსოფლიო პირველობაზე მატჩების საუკუნო ტრადიცია დაარღვია. შეიძლება ნოკაუტ-სისტემის შეთავსება ტრადიციულ სისტემასთან?***

— ამის აზრს ვერ ვხედავ. ადრე მსოფლიო ჩემპიონობის გათამაშება მეტად მწყობრი, კარგად დამუშავებული სისტემით ტარდებოდა. ჭადრაკის ყველა მოყვარული უდიდესი ინტერესით ელოდა, როგორც პრეტენდენტთა ასპარეზობებს, ისე მატჩს მსოფლიო პირველობაზე. ნოკაუტ-სისტემა უფრო გრან-პრის ტურნირებისთვის არის შეფარდებული, ისე, როგორც ეს ჩოგბურთშია. მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკის გამოსავლენად ეს ნოკაუტ-სისტემა არ ვარგა, აქ ძალიან დიდია შემთხვევითობის ელემენტი.

● ***გთხოვთ აგვიხსნათ ასეთი პარადოქსი: კასპაროვმა მსოფლიო ჩემპიონობა ფიდეს სისტემით ჩატარებულ გათამაშებაში მოიპოვა, შემდეგ კი ფიდეს დაუპირისპირდა და ახლა ჩემპიონატს მის გარეშე თამაშობს. განა ეს ჩრდილს არ გაყენებთ? შემდეგ: თქვენ კასპაროვთან მატჩის თამაშზე ანანდის უარის შემდეგ დათანხმდით. ხომ არ გრძნობთ თავს მოძულებული პატარძლის როლში, რომელთანაც სიძემ მას შემდეგ იქორწინა, რაც საყვარელმა პატარძალმა — ანანდმა მიატოვა?***

— აბსოლუტურად არა ვთვლი. მე რა, კასპაროვზე გათხოვებას კი არ ვაპირებ. თვით მატჩი კი არაფერს არღვევს: რაც მეტი დიდი შეჯიბრება იქნება, მით უკეთესი. მისმა ორგანიზატორებმა კი განაცხადეს, რომ არავისთან აპირებენ ბრძოლას. ანანდის უარმა კი, ეთამაშა კასპაროვთან (მას უკვე აღარა აქვს მეორე რეიტინგი მსოფლიოში, რომელიც უკვე მე მოვიპოვე) უფრო გააიოლა სამატჩო სიტუაცია.

ახლა ზოგი რამ ფიდესთან ურთიერთობის შესახებ. რა თქმა უნდა, იდეალური იქნებოდა ყველა ჩვენგანის გაერთიანება. მაგრამ მაშინ უნდა გვეღიარებინა ნოკაუტ-სისტემა. იქ კი უამრავი შემთხვევითი რამ ხდება. ლას-ვეგასში ვერცერთმა უძლიერესმა ნახევარფინალამდეც კი ვერ მიაღწია. ელვისებური პარტიების წაგების შემდეგ გამოვეთიშე შეჯიბრებას. ელვისებური პარტიებით კი მსოფლიო პირველობის გათამაშება, მისი საკითხის გადაწყვეტა სრული უაზრობაა. ეს იგივეა, რომ ფეხბურთის მატჩი სულ 20 წუთს გაგრძელდეს. გაიტან შემთხვევით გოლს და ყრუ დაცვაში ჩადგები.

იცით, ფიდეს გამო მეც დავზარალდი, მთლიანად არ მიმიღია ის თანხა, რომელიც ლას-ვეგასში შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის მეკუთვნოდა. ამასთან, უსიამოვნოც არის მათ რომ მიმართო: „ქაღალდის ფეხბურთს" ძალიან კარგად თამაშობენ. „დიახ, არ გადაგიხადეთ, ერთი კვირის შემდეგ დაგვირეკეთ". ერთი კვირის შემდეგ კი გეუბნებიან, რომ პირველად ესმით ამის შესახებ, გთხოვენ გამოაგზავნოთ ფაქსი. უკვე სამი თვეა გრძელდება ეს უსიამოვნო სიტუაცია.

● ***მართალია, რომ თქვენი პაპის გვარი სოკოლოვია?***

— დიახ, მართალია.

● ***და თქვენ მიიღეთ თქვენი დიდედის მეორე ქმრის გვარი, კრამნიკი გახდით?***

— ეს გვარი მე კი არ მიმიღია, არამედ დიდედაჩემმა მიიღო.

● ***საიდუმლო არ არის, რომ სოკოლოვების გვარი რუსეთში იღბლიანად ითვლებოდა. იქნებ თქვენ ეს გვარი დაიბრუნოთ?***

— მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. ამიერიდან სერიოზულად ვიფიქრებ.

● ***რობერტ ფიშერმა ამას წინათ გასწრო კასპაროვს საიტზე გამოკითხვისას, რომელსაც ყველა დროის საუკეთესო მოჭადრაკე უნდა გამოევლინებინა. თქვენი დამოკიდებულება ამ გამოკითხვისადმი?***

— ვფიქრობ, წარმატებების ერთობლიობით კასპაროვი მაინც უფრო მაღლა დგას. საერთოდ კი, ეს გემოვნების საკითხი გახლავთ. მე რომ მკითხოთ, ყველაზე მეტად ალექსანდრ ალიოხინი მომწონს.

მოამზადა **ბივი თორელმა**

მკაცრად, ~~დოპინგი~~ მაგრამ ობიექტურად

სიდნეიში ოლიმპიურ თამაშებზე კიდევ უფრო გამკაცრდება დოპინგკონტროლი და, რაც მთავარია, დაინერგება სიახლეები, რაც გამორიცხავს შეცდომას და ბოლოს მოუღებს სპორტსმენთა პრეტენზიებს. ასე მაგალითად, ავსტრალიელმა მედიკოსებმა შეიმუშავეს დოპინგკონტროლის ახალი მეთოდი — სისხლის ანალიზი ერითროპოეტინის შემცველობაზე. ეს მეთოდი აპრობაციას გაივლის ივლისიდან, საბოლოოდ კი დაინერგება იმ შემთხვევაში თუ მეცნიერები და იურისტები დადებით დასკვნას გამოიტანენ. გარდა ამისა, ბოლო დღეებში გავრცელებული ცნობით, სიდნეიში დოპინგკონტროლზე იმუშავებს სპეციალური დამოუკიდებელი ჯგუფი, რომელსაც ხატოვნად სადოპინგო პოლიცია უწოდეს.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

28-30 აპრილი
სპორტი ცისფერ ეკრანზე

28 აპრილი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. II არხი. სუპერ-მატჩი (20.00). ***კავკასია.*** „სპორტის სამყარო" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00). ***НТВ плюс футбол.*** „ევრო-2000"-ის გზები (13.50), ბრაზილიიდან. რიო-დე-ჟანეიროს ჩემპიონატი (15.50), შოტლანდიის (16.30, 21.00), ჰოლანდიის (18.10), ევროპული ფეხბურთის (20.10), გერმანიის (22.55), იტალიის (1.10) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა. მიმოხილვა. (15.15), ჩოგბურთი, ფედერაციის თასი (15.55), ტაილანდური კრივი (1.05), ***ESPN.*** ფეხბურთი: ინგლისის პრემიერლიგის (13.00), ჩემპიონთა ლიგის (14.00), ესპანეთის (18.30), იტალიის (19.00) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. „ევრო-2000"-ის გზები (13.30, ამხანაგური მატჩები) მოტორბოლა. მსოფლიო პირველობის გრან-პრი (15.30, 16.00, 17.00, 22.00) ძალოსნობა. ევროპის პირველობა (20.00, 1.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (2.15), სუმო. სუმოს დიდი ტურნირი. იაპონიიდან (3.15).

29 აპრილი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. სტადიონი (19.20), ***რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგის კვირეული (19.10), ***კავკასია.*** „სპორტის სამყარო" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** ფეხბურთი (18.00), ***4U.*** ფეხბურთი. იტალიის ან ესპანეთის ჩემპიონატის მატჩები. (23.20), ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის (13.15, 18.25), ევროპული ფეხბურთის (15.00), შოტლანდიის (15.50), „ევრო-2000"-ის ამხანაგური მატჩების (17.55), ჩემპიონთა ლიგის (20.45), რუსეთის (21.40) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა. (5.00, 23.45), ჩოგბურთი. ფედერაციის თასი (11.05), სიდნეისკენ მიმავალი გზით (22.30), ***ESPN.*** ფეხბურთი. ესპანეთის (3.30, 23.30) ინგლისის (20.30) ჩემპიონატების მიმოხილვა. კალათბურთი. ნბა (4.00, 4.30, 7.00, 12.30, 13.00, 15.30, 21.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების ლეგენდები (14.30, მოტორბოლა. მსოფლიო პირველობის გრან-პრი (15.30, 22.00), ძალოსნობა. ევროპის პირველობა (19.30, 1.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (2.15).

30 აპრილი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. II არხი. სუპერმატჩი (20.00), ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (19.40), იბერია. პროფესიული კრივის ისტორიიდან: „მუჰამედ ალი" (20.35), ***კავკასია.*** „სპორტის სამყარო" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** ფეხბურთი (23.30), ***4U.*** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი (23.20), ***НТВ плюс футбол.*** იტალიის (13.15, 23.25), ესპანეთის (15.00), ჩემპიონთა ლიგის (16.45), საფრანგეთის (17.40), რუსეთის (18.55, 20.50), იტალიის (23.25), ინგლისის (2.05) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** პროფესიული კრივი (6.00, 19.15), ჩოგბურთი. ფედერაციის თასი (14.00), კალათბურთი. ნბა (2.30). ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის (7.00, 14.00), იტალიის (12.00), ესპანეთის (22.00 პირდაპირი რეპორტაჟი) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***EUROSPORT.*** მოტორბოლა. მსოფლიო პირველობის გრან-პრი (13.00, 23.30), ძალოსნობა. ევროპის პირველობა (18.00, 1.00).

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გაგრიდან ლტოლვილი, თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მწვრთნელი

ბიგლა ხარებავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შპს „გოდოლი" და გაზეთ „ლელოს" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამ ორგანიზაციების თანამშრომელი

ნიკა გოგიჩაიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საჭადრაკო ამოცანა

ნ. გავაშელაშვილი

(ქ. ზესტაფონი)



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ეh1! 1. ..მფ:c3 2. მe4X.
1. ...მფd1 2. მf3X.



კროსვორდი №34

თარაზულად: 5. რბენა გრძელ დისტანციაზე, 6. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 8. ვინც საჭადრაკო ეტიუდებს ადგენს, 9. „იუვენტუსის" ფეხბურთელი, იტალიის ნაკრების წევრი, 11. ბისტი თვალში, ანუ... 13. ალფაბეტი ანუ... 18. ერთი ხელობის ოსტატ-ხელოსანთა გაერთიანება, 20. ცნობილი ხორვატიელი ფეხბურთელი 1948 წლის მ/ჩ-ის მონაწილე, 21. მარჯვე ეფექტური ილეთი აკრობატიკაში, 22. ცნობილი უცხოელი მოჭადრაკე ქალი, დიდოსტატი, 23. ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანი ქართველი ფეხბურთელი, 24. ინგლისელი ლეგენდარული ფეხბურთელი.

შვეულად: 1. ცხენოსანი ქალი ბერძნულ მითოლოგიაში ამორძალი, 2. სპორტსმენი ანუ... 3. მართლმსაჯულება ანუ... 4. ქართველი მოჭადრაკე ქალი დიდოსტატი, 7. ილეთი ჭიდაობაში, 10. „რეალის" ფრანგი ლეგიონერი ფეხბურთელი, 11. საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი, 12. ფორმულა-1-ის ცნობილი ირლანდიელი პილოტი, 14. ცნობილი რუსი კალათბურთელი — ვეტერანი, 15. ნიგერიელი ფეხბურთელი — თავდამსხმელი, 1998 წლის მ/ჩ-ის მონაწილე, 16. ცურვის ყაიდა, 17. სალოცავი, საყდარი, 19. ბიბლიური სახელი, 21. სპორტული ილეთი, ძირითადად ჭიდაობაში.

კროსვორდი №33-ის პასუხები:

თარაზულად: 5. კარტოზია, 6. სამორანო, 8. იოსელიანი, 9. ასტამი, 11. თარჯი, 13. ანკეტა, 18. ბილიკი, 20. ამორო, 21. ბაიერი, 22. სამპდორია, 23. კიდობანი, 24. ჩარლტონი. **შვეულად:** 1. იკაროსი, 2. ზონინი, 3. კორიდა, 4. ნოკაუტი, 7. ფლორი, 10. არეკნი, 11. თამასა, 12. იყალთო, 14. კალევი, 15. ჰიდინკი, 16. გორდა, 17. კროაცია, 19. იოსები, 21. ბრაილი.

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა 5 მაისს

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდამონიძე.